ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

4 ივლისიდან
ვფ[ფჰბ სფჯ,ფ4+
ვფჰბბც ბსნჯპბფ
!) კფჰბ




jhif,fsb7 !^ bdkbcb7 @)!@ 1167 (5857) afcb5 #) stshb

# ბიძინა ივანიშვილი: მივმართავ პოლიციას, ნუ შეასრულებთ უკანონო ბრძანებას!“



გვ.3

## გორის აქციამ მშვიდობიანად ჩაიარა

**შიდა ქართლის რეგიონში მაჟორიტაროზისთვის შემდეგი პირები იზრძოლებენ:**
კასპი — დავით ონოფრიშვილი; ხაშური — ვალერი გელაშვილი;
გორი — სოსო ვახტანგიშვილი; ქარელი — ლერი ხაბელოვი.





გვ.2

## ილია II: ერთმანეთის ცემა, ქვების სროლა და იარაღით დამუქრება ყოვლად დაუშვებელია“



გვ.2

## ნოდარ ეფრემიძე: მერაბიშვილი რეგიონებში „ქართული ოცნების“ აქციებს გადააყოლეს“



## მამუკა არეშიძე: რუსი გენერლები საქართველოს ორად გაყოფის გეგმაზე ალაპარაკდნენ“

გვ.5

## თერგის გადასარჩენად დღეს ყაზბეგში აქცია გაიმართება

გვ.7



## მომღერალი გიორგი ფორჩხუა მოკლეს

გვ.5

## თუშეთი ნაგავს მიაქვს



გვ.7

## ირაკლი ალასანია: ქართული პოლიტიკა ქვების სროლის ხანაში აღარ დაბრუნდება



გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**2** სასამართლომ „ობიექტივის“ ჟურნალისტს 400-ლარიანი ჯარიმა დააკისრა

**4** ფიქრია ჩიხრაძე: სოფელი ჩვენ გარდა არავის ახსოვს“

**6** თბილისური სატრანსპორტო ჯოჯოხეთი

**5** სააკაშვილი ყაზბეგში ახალი სასტუმროს გახსნას რუსეთთან ურთიერთობის შენარჩუნების წინაპირობად აფასებს

კევ]ბ ოზსტკბ .ღზსტკბ იფღბ

# ნოდარ ეფრემიძე: მერაბიშვილი რეგიონებში „ქართული ოცნების“ აქციებს გადააყოლეს“

შორენა კოწოწაშვილი

**რა ინფორმაციამ გამოჟონა შს სამინისტროდან, რა არ აპატია ბაჩო ახალაიამ მერაბიშვილის მაღალჩინოსნებს და რა ხდება სამეგრელოში? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს სამხედრო საკითხებში ექსპერტ ნოდარ ეფრემიძესთან.**



***— ბატონო ნოდარ, თქვენი აზრით, ვანო მერაბიშვილი მართლაც გარკვეულწილად ჩააჩოჩა პრეზიდენტმა სააკაშვილმა პრემიერის პოსტზე გადაყვანით, როგორც ამას გარკვეული პოლიტიკოსები აფასებენ? მართლაც მემკვიდრე გამოკვეთა სააკაშვილმა?***

— მე ვფიქრობ, ვანო მერაბიშვილის წინასაარჩევნოდ გადაადგილება განპირობებული იყო იმით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში დასჭირდათ მკაცრი, სასტიკი ხელმძღვანელი. ვანო მერაბიშვილი არ გამოირჩეოდა ლოიალობით. მის სახელს უკავშირდება გახმაურებული არაერთი მძიმე დანაშაულობები, მკვლელობები. განსაკუთრებით გახმაურებული გირგვლიანის თემაა. ეტყობა, მაინც ჩათვალეს, რომ უფრო სასტიკი და დაუნდობელი, „რკინის ხელი“ სჭირდებოდათ შს სამინისტროში და ასეთი არის ბაჩო ახალაია. ეს ყველაფერი კი განაპირობა იმ მრავალათასიანმა შეხვედრებმა, რომლებსაც „ქართული ოცნება“ მართავს რეგიონებში. ჩათვალეს, რომ ეს იყო ვანო მერაბიშვილის შეცდომა, გარღვევა და ამიტომ მერაბიშვილი ფორმალურად კი დააწინაურეს, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს ჩამოქვეითებაა. იმიტომ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ პოლიციურ სახელმწიფოში. პოლიციას აქვს უზარმაზარი ძალაუფლება, გავლენა და დღეს მერაბიშვილს ეს საშუალებები აღარ აქვს. შს მინისტრის პოსტზე მოიყვანეს ბაჩო ახალაია, რომელმაც მოსვლის დღიდან დაიწყო საკადრო წმენდა. მერაბიშვილის კადრები ფაქტობრივად დათხოვილ იქნენ შს სამინისტროდან და ბაჩო ახალაიამ დაიწყო თავისი გამოცდილი კადრების, ოდიოზური ფიგურების მობილიზება სამინისტროში. ყველას კარგად გვახსოვს მეგის ქარდავა, რომელიც ცნობილია თავისი სისასტიკით. მისი გვარი ხშირად იქნა ნახსენები სხვადასხვა კონტექსტში როგორც უფლებადამცველების, ისე ოპოზიციური პარტიების მხრიდან. მეგის ქარდავა ცნობილია მისი დამოკიდებულებით, მიდგომებით პატიმრების მიმართ და მისი სისასტიკით. ეს საკადრო ცვლილებები გარკვეულწილად მაინც უკავშირდება წინასაარჩევნო პერიოდს. ამ მეთოდით ცდილობენ ძალოვანი იწყებების ფლანგი გაიძლიერონ.

***— რატომ გაჩნდა აუცილებლობა კადრების წმენდის შს სამინისტროდან იმ ფონზე, როცა პრეზიდენტიდან დაწყებული, საერთაშორისო ოგანიზაციებიც აღიარებდნენ შსს-ს ნომერ პირველ რეფორმატორულ სამინისტროდ და მერაბიშვილიც დაპიარებული იყო, როგორც საუკეთესო მენეჯერი.***

— თუ გახსოვთ, ნაციონალურ მოძრაობას მცდელობა ჰქონდა ვანო მერაბიშვილის, როგორც შს-მინისტრის იმიჯის ხელოვნურად გაპიარების. თუ არ ვცდები, 87%-ზე იყო საუბარი, როცა მოსახლეობის თითქოსდა ეს რაოდენობა ნდობით იყო აღჭურვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ. ყველას კარგად გვახსოვს ვანო მერაბიშვილის განცხადება, რომ შს სამინისტროს უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობას. ანუ რეალურად ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის შექმნა, რომ შსს არის ის უწყება, რომელსაც აქვს ავტორიტეტი, გავლენა და ა.შ. ხომ იცით, ეს ქვეყანა პარადოქსებით არის სავსე. მერე მოხდა მერაბიშვლის ჩამოცილება. ჩათვალეს, რომ ის გრანდიოზული აქციები, რომელიც რეგიონეში იმართება, მერაბიშვილის სისუსტის მაჩვენებელია.

***— ანუ ქვეყნის მმართველმა ელიტამ ჩათვალა, რომ მერაბიშვილმა სისუსტე გამოიჩინა ივანიშვილთან მიმართებაში?***

— კი, ხელისუფლებამ ასე ჩათვალა. ინფორმაცია გამოვიდა, რომ ბაჩო ახალაიამ მათავარი აქცენტი გააკეთა პოლიციის იმ რეგიონალურ მთავარ სამმართველოებზე, სადაც კოალიციის აქციები ჩატარდა. ინფორმაცია გვაქვს, რომ ბაჩო ახალაია მკაცრი კრიტიკით გამოვიდა, რომ როგორ დაუშვით რეგიონებში ასეთი მასშტაბური აქციებიო. ეს ბაჩო ახალაიას მხრიდან ჩაითვალა პოლიციის შეცდომად. ბაჩო ახალაიამ საზოგადოებას ფაქტობრივად ის მესიჯები გამოუგზავნა, რისთვისაც მოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე.

***— როცა მერაბიშვილმა პარლამენტში განაცხადა, რომ დღეს პოლიცია ნაციონალურ მოძრაობაზე უფრო მაღალრეიტინგულია, ამით ქვეყნის პირველ პირს თავი გაუტოლა?***

— ხელისუფლება კარგად მანიპულირებს რეიტინგებით. ამ რეიტინგებით ხელოვნურად ხდება საზოგადოებრივი აზრის შექმნა, მერე ამ აზრის შეგუება ხალხისთვის და განმტკიცება. როგორც ჩანს, მერე რაღაცები გადათამაშდა და ფიქრობენ, ხალხს მოკლე მეხსიერება აქვს. ავიწყდებათ, რომ ხალხს ძალიან კარგი მეხსიერება აქვს და ამათ აშკარად პიარაქციებში მოუვიდათ გარღვევა.

***— გუშინ გავრცელდა ვანო მერაბიშვილის განცხადება, რომლითაც მან მიმართა პოლიციის თანამშრომლებს, რომ არ დატოვონ თანამდებობები და პოლიციის სისტემა არ „ჩამოშალონ“. ძალოვანების ჩამოშლის საფრთხე რეალურია?***

— ესეც არის პიარტექნოლოგიის ერთ-ერთი ელემენტი. გამოვიდა ის ინფორმაცია, რომ შს მინისტრის პოსტზე მოსული ბაჩო ახალაია დაერია მერაბიშვილის კადრებს. ეს რაღაცნაირად რომ გადაფარონ, საზოგადოებას რომ აჩვენონ, რომ ეს ერთი გუნდია, ალბათ, ამით არის განპირობებული ვანო მერაბიშვილის განცხადება. უნდათ საზოგადოებაში განამტკიცონ აზრი, რომ ძალოვან უწყებებში ყველაფერი ძველებურადაა, რომ შსს თავის ,,ფუნქციას’’ შეასრულებს.

***— ფაქტია სააკაშვილმა ბაჩო ახალაიას უფრო მეტი ნდობა გამოუცხადა. მერაბიშვილს ამიერიდან პრეზიდენტი განზე დააყენებს?***

— ვფიქრობ, ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელებს, ანუ იმ ადამიანებს, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს და რეალური მოცემულობა კარგად ესმით, კარგად აქვთ გააზრებული, რა ვითარებაა დღეს ქვეყანაში შექმნილი, ხვდებიან, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მათ მხარს არ უჭერს და ოპოზიციურად არის განწყობილი. რადგან იციან, რომ ხალხი მათ ხმას არ მისცემს, ამიტომ დასჭირდათ ასეთი ხრიკები. ვფიქრობ, საბოლოო ჯამში, ქარველი ხალხი თავის სიტყვას იტყვის და სააკაშვილის ხელისუფლება წარსულს ჩაბარდება.

***— რა ვითარებაა თავდაცვის სამინისტროში? იქ შაშკინმა შეინარჩუნა ახალაიას კადრები?***

— თავდაცვის სამინისტროში, როგორც ჩანს, ახალაიების ოჯახურ-კლანური მმართველობაა. იცით, რომ თავდაცვის მინისტრის მოადგილე გახდა დათა ახალაია. მან გადაიყოლა აგრეთვე სოსო თოფურიძე, ახლაიების ოჯახთან დაახლოებული პირი. ისინი გაუწევენ ზედამხედველობას თავდაცვის სამინისტროს, ანუ ფაქტობრივად დღეისათვის ოჯახური მმართველობაა ძალოვან უწყებებში. მიშა სააკაშვილი განსაკუთრებით ენდობა ახალაიების ოჯახს. შაშკინი უფრო მინიმალური ფიგურაა, საერთაშორისო ორგანიზაციების ასახეა გარკვეულწილად, რადგან ერთი პერიოდი საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობდა. ამით ამ საკადრო ცვლილების შეფუთვა უნდათ დემოკრატიის სარჩულით. რეალურად კი ორივე უწყებაში გადაწყვეტილებებს ახალაია მიიღებს. რაც შეეხება შიგნით განწყობილებებს, ძალიან დიდი სიხარული იყო სამხედრო მოსამსახურეებისთვის, როდესაც ბაჩო ახალაიამ დატოვა თავდაცვის მინისტრის პოსტი. მაგრამ მათ სიხარულს მოკლე პერიოდი ჰქონდა, რადგან მალე უწყების ფაქტობრივი ხელმძღვანელობა ჩაანაცვლა ისევ დათა ახალაიამ. სამხედრო სისტემა ცოცხალი ორგანიზმია და ასეთი ცვლილებები უარყოფითად მოქმედებს სამხედროების განწყობებზე.

***— ვანო მერაბიშვილის თქმით, ის პოლიტიკოს ბიძინა ივანიშვილს, თავის თავს კი პოლიტიკოსად წარმოაჩენს. იმ გადაძახილებით, რომელიც მერაბიშვილსა და ივანიშვილს შორის გაკეთდა, რა შეგიძლიათ თქვათ, ამ ყველაფერზე პასუხი სააკაშვილმა მერაბიშვილის ერთგულ ჩინოვნიკებს აგებინა?***

— ვფიქრობ, მერაბიშვილს ჰქონდა მცდელობა „შავი პიარის“ ელემენტები გამოეყენებინა. ვფიქრობ, ეს მერაბიშვილის მხრიდან დიდი სიბრიყვეა. ყველამ კარგად იცის, ვინ არის ვანო მერაბიშვილი და მისი კარიერაც ცნობილია. საკმაოდ დიდი „შავი ლაქებია“ მის პოლიტიკურ კარიერაში. ასეთი ადამიანისგან ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა დიდი სიბრიყვეა.

***— დაბოლოს, ბატონო ნოდარ, გვახსოვს ირაკლი ალასანიას განცხადება უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნასთან დაკავშირებით სამეგრელოს რეგიონში. ალასანია სამეგრელოში ფიქრობდა პროვოკაციებს კოალიციასთან მიმართებაში, თუმცა, როგორც ვნახეთ, დაპირისპირებებს ადგილი გორის რაიონში აქვს.***

— სამეგრელო ძალიან რთული რეგიონია. ალასანიამ რა განცხადებაც გააკეთა, ეს რეალობაა და სამეგრელოში მართლაც არის შექმნილი შეიარაღებული დაჯგუფებები, რომელსაც კურირებდა უშუალოდ ბაჩო ახალაია. მისი ოჯახის პატრონაჟის ქვეშ იყო ეს ყველაფერი. სოფლებში შექმნეს რაღაცა პროგრამა, რომელსაც უწოდეს ,,დაიცავი შენი სოფელი’’. ხალხის შერჩევა ხდებოდა პოლიტიკური ნიშნით, ამ ადამიანებს ჰპირდებოდნენ სხვადასხვა სიკეთეებს, სამსახურს, სამედიცინო დაზღვევას და ა.შ. ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო საზოგადოებისთვის საფრთხის შემცველი და ეჭვის საფუძველი. ალასანიას განცხადების შემდეგ ეს მოძრაობა რაღაცნაირად შენელდა და უფრო ფარულ სივრცეში გადავიდა. რა თქმა უნდა, ეს ადამიანები ისევ არიან, სისტემა ისევ აქვთ შენარჩუნებული. ის ადამიანები, რომლებიც იყვნენ ადრე ჩასახლებებში, მისამართები შეცვლილი აქვთ, იქ ფიზიკურად აღარ არიან, მაგრამ ეს ადამიანები ბუნებაში არსებობენ და მათთან ხელისუფლებიდან მიდის ინტენსიური მუშაობა. სამეგრელოს რეგიონი საფრთხის შემცველია. საერთაშორისო ორგანიზაციებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ რეგიონს. ვიცით, რას ნიშნავს რუსებისგან გამოგორებული კოჭი, რომ სექტემბერში სამხედრო სწავლება აქვთ ჩანიშნული. ამას სააკაშვილი სათავისოდ გამოიყენებს. რაც შეეხება იმას, თუ რატომ დაიწყო გორით დაპირისპირებები, ჩემი აზრით, დღეს შიდა ქართლი ყველაზე საფრთხის შემცველია. ხელისუფლებამ გორში მოთელა მისი მიერ შემუშავებული მეთოდები. ხელისუფლება ბევრს იმუშავებს დევნილებზე. ხელისუფლება ფიქრობს, რომ შიდა ქართლი მისი მხარდამჭერია. გორში ხელისუფლებამ გამოიყენა ის ადამიანები, ვინც სისასტიკით გამოირჩევიან, ე.წ. ზონდერები, სახელმწიფო მოხელეები. მცდელობა იყო არ მომხდარიყო „ქართული ოცნებისა“ და მოსახლეობის კონტაქტი. ხელისუფლებამ იცის, რომ მხარდაჭერას კარგავს და იგივე შიდა ქართლის მოსახელობას არგუმენტიც არ დარჩათ, რატომ უნდა დაუჭირონ მხარი ხელისუფლებას. კადრებშიც კარგად ჩანს, რომ კოალიციას უპირისპირდებიან ის ადამიანები, ვინც სახელმწიფო სამსახურებში არიან, მაღალი ხელფასი აქვთ, ოჯახის წევრები მაღალ თანამდებობებზე ჰყავთ და ა.შ. მე ვფიქრობ, ეს არის სააკაშვილის ხელისუფლების კრახი.

## ილია II: „ერთმანეთის ცემა, ქვების სროლა და იარაღით დამუქრება ყოვლად დაუშვებელია“



გორის რაონის სოფელ კარალეთში მომხდარი ინციდენტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II გუშინ საკვირაო ქადაგებისას დაგმო და ხელისუფლებასა და ოპოზიციას პრობლემების მშვიდობიანად მოგვარებისკენ მოუწოდა.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, გასულ კვირაში მან იქადაგა, რომ ადამიანებმა ერთმანეთს ტალახი არ უნდა ესროლონ, თუმცა, ამ კვირაში უარესი ამბავი შეიტყო — ქართველები ერთმანეთს ქვებს ესვრიან.

„მივმართავ ყველას, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც, ყველა პარტიის წევრებს და რიგით ადამიანებს, მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. ეს არის სირცხვილი თქვენი და ქართველი ერისა. როგორ ბედავს ადამიანი, რომ იღებს ქვას და მეორეს ესვრის, სად არის თქვენი სარწმუნოება და სიკეთე“ — განაცხადა პატრიარქმა და აღნიშნა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ამ ქვეყნის შვილებს ასეთი საქციელი არ შეეფერება.

ილია II თქმით, ყოველი ქართველის უკან სამშობლო დგას და ადამიანებმა ერთმანეთს ისეთი რამ არ უნდა გაუკეთონ, რითაც ქვეყანა დაზარალდება.

„თქვენ შეგიძლიათ შეხვდეთ ერთმანეთს, ისუბროთ, იკამათოთ, მაგრამ ერთმანეთის ცემა, მით უფრო ქვების სროლა და იარაღით დამუქრება ყოვლად დაუშვებელია. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ქართველებს შორის ურთიერთობა დაიძაბება, მტერს სწორედ ეს უნდა“ — აღნიშნა პატრიარქმა და იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდება.

ნიუსპრესი

## სასამართლომ „ობიექტივის“ ჟურნალისტს 400-ლარიანი ჯარიმა დააკისრა

მედიაკავშირ ,,ობიექტივის“ ჟურნალისტი, უფლებადამცველი მერაბ ჭიქაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლომ სამართალდამრღვევად სცნო და 400-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმა დააკისრა.

სასამართლო პროცესი ჩატარდა.

,,მე ბრალად წამიყენეს 173-ე მუხლი, რაც პოლიციისათვის დაუმორჩილებლობას ითვალისწინებს. ჩემი დაკავება მას შემდეგ მოხდა, რაც ჩემი სახლის ეზოში სამართალდამცავებმა მანქანა გააჩერეს, ვითომდა მანევრირების წესების დარღვევის გამო, სადაც უკან მე ვიჯექი და მძღოლთან და მძღოლის გვერდზე მჯდომთან საუბრის შემდეგ, გადაწყვიტეს მეც დავეკავებინე. როდესაც ვიკითხე, რაზე მაკავებდნენ, მიპასუხეს, რომ უკან ჯდომის გამო. მე დავემორჩილე მათ. სასამართლო პროცესზე ჩვენ ყველა არგუმენტი გამოვიყენეთ, თუმცა ამის მიუხედავად, სასამართლომ 173 მუხლით მაინც გაგვასამართლა და 400-ლარიანი ჯარიმა დაგვაკისრა“-აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას ჭიქაშვილმა და დასძინა, რომ საქალაქო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას ისინი სააპლაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

მისი თქმით, მასთან ერთად დაკავებული ადამიანებიც უკვე გათავისუფლებულები არიან და მათაც ჯარიმა დაეკისრათ, მანქანა კი საჯარიმოზე გადაიყვანეს.

,,მე გამოვთქვი ეჭვი, რომ ჩემი დაკავება ჩემ საქმიანობას უკავშირდება, რადგან მანქანაში უკან ჯდომის გამო რატომ უნდა იყოს ადამიანი ბოროტმოქმედი ან საშიში, ვერ ვხედები. ამიტომ ძალის დემონსტრირება ჩემზე მოახდინეს და უსამართლოთ დამაჯარიმეს, მაგრამ ფიზიკური შეხლა-შემოხლა არ ყოფილა. ჩვენი დაკავება წუხელ მოხდა, რის შემდეგადაც დილომში „კაპეზეზე“ გადაგვიყვანეს, საიდანაც დღეს დილით 10:00 საათზე სასამართლოში მიგვიყვანეს“, -აცხადებს ჭიქაშვილი.

შეგახსენებთ, რომ ,,ობიექტივის“ ჟურნალისტი, უფლებადამცველი მერაბ ჭიქაშვილი, რამდენიმე მეგობართან ერთად პოლიციამ საკუთარ სახლთან წუხელ დაახლოებით 01:00 საათზე დააკავა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ბიძინა ივანიშვილი: მივმართავ პოლიციას, ნუ შეასრულებთ უკანონო ბრძანებას!“

თეა მარხვაიძე

**გუშინ მთელი საქართველოს ყურადღება გორისკენ იყო მიმართული, სადაც კოალიცია „ქართული ოცნების“ აქცია გაიმართა. აქციამდე გორში ისეთი ამბები დატრიალდა, რომ შეუძლებელი იყო, ერს ყველაფერი ყურადღების მიღმა დაეტოვებინა.**

ყველაზე ხმაურიანი კი მაინც კარალეთში მომხდარი ინციდენტი გამოდგა, სადაც ადგილობრივ ზონდერებსა და მეოცნებეებს შორის სერიოზული დაპირისპირება მოხდა. ამ ცემა-ტყეპის და ქვების სროლს შედეგად 20 ადამიანი დაშავდა. მათ შორის იყვნენ ჟურნალისტებიც.

მომხდარზე ხელისუფლება და ოპოზიცია პასუხისმგებლობას ერთმანეთს აკისრებს. ორივე მხარე იმის მტკიცებაშია, რომ ინციდენტი მოწინააღმდეგემ მოაწყო. ასე იყო თუ ისე, იმ დაპირისპირებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია.

ვრცელდებოდა ჭორები, რომ მეოცნებეები აქციის ჩატარებას გორში აღარ გარისკავდნენ. ეს ინფორმაცია კოალიციის ლიდერებმა უარყვეს. განაცხადეს, რომ აქცია მაინც გაიმართებოდა. აქცია მართლაც გაიმართა და ის საკმაოდ ხალხმრავალი გამოვიდა.

აქციამდე 2 დღით ადრე მეოცნებეებმა საგანგებო განცხადება გაავრცელეს. მათ მშობლიურ შსს-ს მიმართვა გაუგზავნეს.

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ სამართალდამცავებსა და უწყებათაშორის კომისიას კარალეთში მომხდარ ფაქტზე სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდებს.

როგორც კოალიციის მიერ პარასკევს გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მას შემდეგ, რაც კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ფართომასშტაბიანი წინასაარჩევნო საქმიანობა დაიწყო და მხარდამჭერთა მრავალათასიანი აქციები გამართა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხელისუფლება ყველა გზით ცდილობს წინ აღუდგეს და შეაჩეროს ეს პროცესი.

„ქართული ოცნება“ ყველა მსგავსი სამართალდარღვევის გამოძიებას ითხოვს, რათა სამომავლოდ ანალოგიური დაპირისპირებები გამოირიცხოს.

როგორც კოალიციაში აცხადებენ, „ქართული ოცნების“ მოსახლეობასთან შეხვედრების ჩასაშლელად ხელისუფლება დაუშვებელ და ანტისახელმწიფოებრივ მეთოდებს იყენებს, რომელსაც შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს.

– კოალიციის ხალხთან შეხვედრების ჩასაშლელად ხელისუფლება იყენებს მორჩილი ჩინოვნიკებისა და მათი ნათესავებისგან შემდგარ ე.წ „რაზმებს“, სწორედ ამ „რაზმებს“ უპირისპირებს ხალხს და ამით ცდილობს, შექმნას ისეთი სურათი, თითქოს ორად გახლეჩილი მოსახლეობა ერთმანეთს უპირისპირდება. ბოლო დღეებში, გორის სოფლებსა და ადმინისტრაციული საზღვრის პირას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან კოალიციის წარმომადგენელთა შეხვედრებზე ხელისუფლების მიერ მოწყობილმა დაპირისპირებამ ყოვლად დაუშვებელი სახე მიიღო და საშიში ტენდენციები გამოიკვეთა, – ნათქვამია განცხადებაში.

„ქართული ოცნება“ მოუწოდებს ხელისუფლებას, სასწრაფოდ აღკვეთოს ასეთი დაპირისპირებები, რათა ეს პროცესები კონსტიტუციის ფარგლებს არ გასცდეს და სამოქალაქო დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს.

– კოალიციის წარმომადგენლები და აქტივისტები სტუმრობენ ყველა სოფელს და ხვდებიან ჩვენს მხარდამჭერებს, რომლებსაც ლეგიტიმური უფლება აქვთ, მიიღონ ასეთ შეხვედრებში მონაწილეობა, ხოლო სამართალდაცვის ორგანოები ვალდებული არიან, დაიცვან მათი ეს უფლებები. კოალიცია „ქართული ოცნება“ 15 ივლისს გორში წინასაარჩევნო ფართომასშტაბიან, ხალხმრავალ აქციას გამართავს, რომელსაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც დაესწრებიან. კოალიცია „ქართული ოცნება“ მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შეასრულოს თავისი პირდაპირი მოვალეობა და უზრუნველყოს ზემოაღნიშნული აქციის მონაწილეთა უსაფრთხოება, როგორც აქციის მიმდინარეობისას, ისე გზებზე მოქალაქეთა გადაადგილების დროს, – აღნიშნულია განცხადებაში.



გორის აქციამ მშვიდობიანად ჩაიარა

კოალიცია „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ პოლიტიკური ბრძოლის არჩეულ გზას არ გადაუხვევს, კონსტიტუციური გზით, კანონის სრული დაცვით გააგრძელებს თავის საქმიანობას და არჩევნებში გამარჯვებით შეცვლის ხელისუფლებას.

მეოცნებეთა აქცია კომბინატის დასახლებაში გაიმართა. ცენტრალური მოედანი ხელისუფლებამ აქციისთვის არ გაიმეტა. სააქციო ადგილზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები დილიდან გამოჩნდნენ.

კვირას, უწყებათაშორისი კომისიის „სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისთვის“ თავმჯდომარემ, უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შეხვედრებს პოლიციის თანამშრომლები დაესწრებიან. მისი განმარტებით, პოლიტიკურ ძალებს ხშირად თავად არ ჰქონდათ შეკრების ადგილებში პოლიციის ყოფნის სურვილი.

– დისკუსიის შედეგად ვართ მისული შეთანხმებამდე, რომ შესაძლებლობა იქნება ადგილზე პოლიციის ყოფნის და, საერთოდ, იქნება მკაფიო განწყობა პოლიტიკური ძალების მხრიდან, საკუთარი საარჩევნო კამპანიის დროს ძალადობისაგან თავის შეკავების, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

გორში დილიდან მშვიდობა სუფევდა. სიმშვიდე იყო შიდა ქართლის სხვა რაიონებშიც. აქციისთვის სამზადისი რეგიონში დილიდან დაიწყო. აქციამდე რამდენიმე საათით ადრე კომბინატის დასახლების მოედანი ხალხით იყო სავსე. დღის 4 საათისთვის კი აქციას უკვე რაიონებიდან შემოუერთდნენ კოლონები.

კოალიციის ლიდერები ხალხის რაოდენობით კმაყოფილები იყვნენ. მათი თქმით, სააკაშვილს ხალხის დაშინება აღარ გამოუვა. აქციაზე მისული ხალხი კოალიციის ლიდერ ბიძინა ივანიშვილს ტაშით და ოვაციებით შეხვდა. ხალხის რაოდენობით ივანიშვილიც კმაყოფილი იყო.

სიტყვით გამოსვლისას ივანიშვილმა აქციის მონაწილეებს მიმართა, რათა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულებისთვის წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ.

– ქართლი ყოველი კუთხის გამაერთიანებელი და შემკრებია. სიტყვა საქართველოც ხომ ქართლიდან მოდის. ჩვენ დღეს გორში შევიკრიბეთ, დავით აღმაშენებლის დაარსებულ ქალაქში. ეს ქალაქი ბევრი გასაჭირის გადატანის მიუხედავად, მტკიცედ დგას ფეხზე. იმ ჭრილობას, რაც აგვისტოს ომმა მოგვიტანა, სასწრაფოდ უნდა ვუმკურნალოთ, რათა პირი შეიკრას და შეხორცდეს. უკვალოდ ვერ გავაქრობთ, რადგან დაღუპულებს ვერავინ გაგვიცოცხლებს. მოდით პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას, – აღნიშნა ივანიშვილმა.

თავის გამოსვლაში მან რუსეთთან ურთიერთობებზეც ისაუბრა. განაცხადა, რომ რუსეთთან ურთიერთობებში კორექტული იქნება.

– ჩვენ ერთმანეთის პატიება უნდა შევძლოთ და იმას, რისი გამოსწორებაც შესაძლებელია, გამოვასწორებთ. ჩვენ გამოვნახავთ მისადგომს ოს ძმებთან და დებთან. მე არ მიმაჩნია, რომ ომი საქართველომ დაიწყო, საქართველო რუსეთის ტერიტორიაზე არ შესულა, მაგრამ ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ ქართულ სოფლებში სამხედრო მოქმედებები საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო და შედეგები ვერ გათვალა. პატივი და დიდება ყველა გმირულად დაღუპულ ჯარისკაცს, მაგრამ უზნეობაა იმის მტკიცება, რომ ომი, რომლის შედეგად 100 სოფლის ოკუპაცია მოხდა, გამარჯვებულად გამოაცხადო. საქართველომ აშშ-ის და ევროკავშირის ქმედითი მხარდაჭერა აუცილებლად უნდა მოიპოვოს. ამ მხარდაჭერას კი მივაღწევთ მაშინ, თუ რეალური დემოკრატიის გზას დავადგებით და თუ გამოვიყენებთ სახალხო დემოკრატიას. ამის ნათელი მაგალითი იყო ერგნეთის ბაზრობა, რომელიც ხელისუფლებამ დახურა და ეს უკანონო გადაწყვეტილება იყო. ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, ერგნეთის ბაზრობას აღვადგენთ. ჩვენ არაერთხელ ვთქვით, რომ ნატო-სა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია გარდაუვალია, მაგრამ მეზობლებს ჩვენ ვერ ავარჩევთ, ამიტომ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაა საჭირო. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაა საჭირო. ჩვენ რუსეთთან კორექტული ვიქნებით, – აღნიშნა ივანიშვილმა.

სიტყვით გამოსვლისას ივანიშვილმა პოლიციელებსაც მიმართა. ის მიიჩნევს, რომ

შინაგან საქმეთა მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნა შეშინებული კაცის გადაწყვეტილებაა.

მისი თქმით, ბევრჯერ აღუნიშნავს, რომ პოლიციელების დიდი ნაწილი წესიერი ადამიანია, რომელიც უანგაროდ და პატიოსნად ემსახურება საკუთარ ხალხსა და სამშობლოს.

– როგორც ჩანს, სააკაშვილი ჩემმა სიტყვებმა შეაშინა და რამდენიმე დღის წინათ პოლიციელებს მინისტრად სისასტიკით ცნობილი ახალაია დაუნიშნა. ასე ცდილობს იგი, დათრგუნოს და დააშინოს არა მარტო მოსახლეობა, არამედ პოლიციელებიც. სააკაშვილის ეს ნაბიჯი შეშინებული კაცის გადაწყვეტილებაა. როგორც ჩანს, მას კიდევ უფრო მკაცრი ხელი სჭირდება თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად. მას არჩევნებისათვის სჭირდება ზონდერბრიგადები, რომელთა მართვითაც ახალაია არის განთქმული. მივმართავ ჩვენს საყვარელ პოლიციელებს, ნურაფრის შეგეშინდებათ. ეს ყველაფერი მალე წარსულს ჩაბარდება. თუ არ შეასრულებთ უკანონო ბრძანებებს, კანონი თქვენსკენ იქნება. მათ ასევე ვერავინ დაჯაბნის და ვერც ერთი კრიმინალი თანამდებობის პირი მოერევა, – აცხადებს ივანიშვილი.

ივანიშვილს არც დევნილები დავიწყებია. სიტყვით გამოსვლისას ის დევნილებს დაჰპირდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათ დაკავებულ ფართებს დაუკანონებს და მისცემს საშუალებას „ღირსეულად თვითონ დაგეგმონ თავიანთი მომავალი“.

ივანიშვილის თქმით, აგვისტოს ომის შემდეგ დევნილებისთვის კი აშენდა კოტეჯები, მაგრამ ხელისუფლება ამ შემთხვევაშიც პოლიტიკური კორუფციით იყო დაკავებული. დევნილთა გადანაწილება ხდებოდა პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით, ბევრი დევნილი კი შესაბამისი სტატუსის მიღებას ელოდება.

მეოცნებეთა ლიდერის თქმით, ამიერიდან დევნილების ბედს მათ გარეშე ვერავინ გადაწყვეტს.

სიტყვით გამოსვლისას ივანიშვილმა ყურადღება გაამახვილა სხვადასხვა კატეგორიის ვეტერანებზე, შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებზე, მარჩენალდაკარგულებზე, ჩერნობილში დაზარალებულებზე, ძალოვანი სტრუქტურებიდან დათხოვნილ ადამიანებზე და აღნიშნა, რომ მათ სოციალურ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა.

ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ერგნეთის ბაზრობის აღდგენას აპირებს

– ერგნეთის ბაზრობის დახურვა ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის შედეგია. კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაზე ოდნავ მაინც რომ ეფიქრა ხელისუფლებას, ასე ხელაღებით ამ ბაზრობას არ დახურავდა, – განაცხადა ივანიშვილმა.

მისი თქმით, სავაჭრო და საქმიანი ურთიერთობები აკავშირებს და აახლოებს ადამიანებს და ერგნეთის ბაზრობის არსებობის დროს ქართულ-ოსური ურთიერთობები ბუნებრივ კალაპოტს უბრუნდებოდა.

– ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩვენ კანონის ფარგლებში, ლეგალურად აღვადგენთ ერგნეთის ბაზრობას. ყველაფერს გულისყურით გავთვლით და ყველა საფრთხეს გავითვალისწინებთ. მიგვაჩნია, რომ ამ ბაზრობის აღდგენით გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს მყოფ ადამიანებს შორის ნდობის აღდგენა დაიწყება და ურთიერთობაც ერთხელ და სამუდამოდ დალაგდება, – განაცხადა ივანიშვილმა.

მეოცნებეთა ლიდერის თქმით, ის საქციელი, რომელსაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მის წინააღმდეგ მიმართავს, ყაჩაღობაა.

როგორც მან გორში მიმდინარე აქციაზე განაცხადა, ეს ხელისუფლება რომ სრულდება და მის ძალაუფლებას ბოლო ელება, ამას სააკაშვილი კარგად ხედავს და გრძნობს.

– მისი ბოლოდროინდელი მოქმედებები ჩემი და ჩემი გუნდის წინააღმდეგ მხოლოდ გონებაარეული კაცის ნაფიქრალი შეიძლება იყოს. სახელმწიფო მეთაურები ასე არ იქცევიან. ის საქციელი, რომელსაც სააკაშვილი ჩემს წინააღმდეგ მიმართავს, ყაჩაღობაა. მას არ ენაღვლება არც კანონი, არც სამართალი, არ საზოგადოებრივი განწყობა და რაც განსაკუთრებით თვალში საცემია, აღარც დასავლელი პარტნიორების აზრი აინტერესებს, რომელსაც აქამდე მეტ-ნაკლებად უწევდა ანგარიშს. „ქართუ ჯგუფის“ დაყადაღებისა და ქონების გაყიდვით სააკაშვილმა მთელ საერთაშორისო საზოგადოებას დაანახვა, როგორ ებრძვის პოლიტიკურ ოპონენტს. ამ ბანკის ჩამორთმევა ვერაფერს ავნებს ჩემს კაპიტალს. „ბანკი ქართუ“ ინვესტიციაა. ეს ის პროექტია, რომელიც ჩემი ხალხის, სამშობლოს კეთილდღეობისათვის განვახორციელე. ეს ბანკი ჩემი მოგებისათვის არ გამიხსნია, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

მან კომპანიების: „ბურჯისა“ და „ელიტ ბურჯის“ დაყადაღებაზეც ისაუბრა. მისი აზრით, ამის მიზეზი ის გახდა, რომ კოალიციას სატრანსპორტო საშუალებებს ჩვეულებრივ კომერციულ ფასებში მხოლოდ ისინი აქირავებდნენ. ამასთან, ისინი საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაკვეთებს ასრულებდნენ.

– ოღონდ ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ შეაჩერონ, ამათთვის მეტი არაფერია საინტერესო. ამ მეთოდებით ჩემი შეჩერება და დამარცხება შეუძლებელია, მაგრამ ამის გათვლის უნარი არ აქვს, – დასძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, საქართველოს ჯანსაღი, განათლებული, ღირსებით სავსე და ამაყი ხალხის ხელისუფლება უნდა ჰყავდეს.

– თქვენი ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა მთავარია ჩვენთვის. ჯანდაცვის საქმე 20 წელზე მეტია, სამწუხაროდ, უკან და უკან მიდის. ყველამ კარგად იცით, ამ ხელისუფლებამ ვითომ ახალი საავადმყოფოები ააშენა, მაგრამ იქ მისვლა და მკურნალობა ისეთი ძვირი ღირს, პატიოსან კაცს ხშირად სახლ-კარის ფასად უჯდება. ოპერაცია და წამლებიც ისე გაძვირდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანისათვის მიუწვდომელია. ამიტომ ავადმყოფობა ჩვენი მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით კი პენსიონერებისათვის და გაჭირვებული ადამიანებისათვის, ხშირად სასიკვდილო განაჩენია. ეს უნდა შეწყდეს. „ქართული ოცნება“ ბოლოს მოუღებს ამ უსულგულობას. ყველას ექნება სამედიცინო დაზღვევა, —აღნიშნა ივანიშვილმა.

სიტყვით გამოსვლის ბოლოს, ივანიშვილმა შიდა ქართლის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები დაასახელა.

„ქართული ოცნებიდან“ გორში კენჭს იყრის სოსო ვახტანგიშვილი (კონფლიქტის მოგვარების შერეული საკონტროლო კომისიის ყოფილი წევრი), ქარელში ლერი ხაბელოვი, ხაშურში ვალერი გელაშვილი (ორგზის პარლამენტის წევრი), კასპში კი დავით ონოფრიშვილი – ეკონომისტი.

ვალერი გელაშვილი ივანიშვილს ვალერი გელბახიანში აერია და მასზე კარგა ხანს იძახდა გელბახიანიო.

სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, კოალიცია „ქართული ოცნების“ გორის აქციას, დაახლოებით, 15 ათასი ადამიანი ესწრებოდა.

საერთაშორისო მედიაში აღიარებული სტანდარტების მიხედვით, მანიფესტაციაზე ხალხის რაოდენობა შემდეგი წესით ითვლება: გოოგლე მაპ-ის სპეციალური პროგრამის მეშვეობით გაიზომა „ქართული ოცნების“ მიერ გორში ორგანიზებული აქციის მოედანი. მშვიდობის გამზირის წინ არსებული მოედანი და მიმდებარე ტერიტორია პირობითად 400 კვ.მ. კვადრატებად დაიყო და თითოეულის სიმჭიდროვე სათითაოდ იქნა დათვლილი.

ყველაზე მჭიდროდ ხალხი სცენის წინ იდგა. 1200 კვადრატულ მეტრ ფართობზე, კვ.მ-ზე 4 ადამიანის დაანგარიშებით, დაახლოებით 4800 ადამიანი.

შედარებით ნაკლები სიმჭიდროვე იყო მოედნის შუა ნაწილში – 1600 კვ.მ. ფართობზე, კვ.მ-ზე 3 ადამიანის დაანგარიშებით დაახლოებით 4800 ადამიანი.

სიმჭიდროვე იკლებდა ტერიტორიის უკანა და განაპირა ნაწილებში. 1200 კვადრატულ მეტრ ფართობზე კვ.მ ზე 2 კაცის დაანგარიშებით 2400 ადამიანი, ხოლო 1600 კვ. მ. ფართობზე 1 კაცის დაანგარიშებით 1600 ადამიანი იდგა.

ხალხი იდგა აღნიშნული კვადრატების გარეთაც, თუმცა გაფანტულად. მათი რაოდენობა დაახლოებით 1000 კაცი იყო. შესაბამისად, საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ „ქართული ოცნების“ 15 ივლისის აქციაზე 19:00 საათისთვის მომიტინგეთა რაოდენობა გორში დაახლოებით 15 ათასს შეადგენდა.

# ფიქრია ჩიხრაძე: სოფელი ჩვენ გარდა არავის ახსოვს“

**„ახალი მემარჯვენეები“ დაძაბული წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციურ სპექტრს და გარკვეულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოუწოდებენ, სიფრთხილით მოეკიდონ რიგ განცხადებებს, რადგანაც ამან არჩევნებისადმი ისევ ნიჰილიზმი არ გამოიწვის ხალხში.**

**გამყრელიძის თანაგუნდელები მიიჩნევენ, რომ მათი დამსახურებით დღეს ხელისუფლებაც და სხვა ოპოზიციური ძალებიც სოფლის პრობლემებით დაინტერესდნენ და ქართული სოფლის თემა აქტუალური გახადეს. თუმცა „ახლები“ უკმაყოფილებას ვერ მალავენ, რომ პოლიტიკურ ნოუჰაუებს საავტორო უფლებების დამცველები არ იცავენ, პოლიტიკაში კი პლაგიატობა, როგორც ფიქრია ჩიხრაძე აცხადებს, სამწუხაროდ, „მოსულია“.**

**რა იწვევს „ახლების“ უკმაყოფილებას და რისი საფრთხე არსებობს არჩევნების წინ? – ამ საკითხების ირგვლივ გავესაუბრეთ „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერ ფიქრია ჩიხრაძეს.**



შორენა კოწოწაშვილი

***– ქალბატონო ფიქრია, შექმნილი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე ჩნდება ვერსიები იმის თაობაზეც, რომ პრეზიდენტი და მისი გუნდი ეცდება, რომ ოქტომბერში არ ჩაატაროს, ან სულაც ჩაშალოს არჩევნები. რეპრესიების გაძლიერების ფონზე წარმართავს წინასაარჩევნო კამპანიას ხელისუფლება და, საერთოდ, აწყობს მმართველ ელიტას არჩევნების დროულად ჩატარება?***

– მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ის გრძელვადიანი მონიტორინგი, რომლის თაობაზეც ამ ბოლოს ამერიკის ელჩმა კიდევ ერთხელ განაცხადა, სათანადოდ განხორციელდება. ეს ძალიან სერიოზულ წვლილს შეიტანს დაძაბული წინასაარჩევნო პერიოდში. წინასაარჩევნო პერიოდი ყოველთვის იყო დაძაბული, მაგრამ მე დაძაბულობაში ვგულისხმობ იმ სახიფათო მიჯნის გადალახვას, რომლის იქითაც შეიძლება მართლაც სახიფათო მიმართულებით წარიმართოს პროცესები. ვფიქრობ, საერთაშორისო მონიტორინგი, ერთი მხრივ, იქნება შემაკავებელი ელემენტი, მაგრამ მეორეა – რომ ჩვენ ვიცით, რა ტიპის ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე და ეს არა მარტო არჩევნების პერიოდში გვინახავს, არამედ იგივე საპროტესტო აქციების პერიოდშიც, როდესაც ბევრი ძალადობა ხორციელდებოდა ხელისუფლების მხრიდან. ოპოზიციური ძალების ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციაა ამ ვითარებაში მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ პროვოკაცია, რომელიც შეიძლება ხელისუფლებისგან მოდიოდეს. შეიძლება, ასე ვთქვათ, ხელისუფლების რეალური სურვილი იყოს, რომ დაძაბულობა შემოიტანოს და ან რაც არ უნდა ეგზალტირებული იყოს ადამიანი, ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი, მან შეიკავოს თავი და თვითონ არ გახდეს მაპროვოცირებელი გარკვეული დაპირისპირებისა. მე ამ შემთხვევაში, ცხადია, ფიზიკურ დაპირისპირებას ვგულისხმობ. ჩვენ ძალიან სერიოზული ძალისხმევა გვმართებს ყველას, რომ მართლაც მშვიდობიანად მივიდეთ 2012 წლის არჩევნებამდე და ამ მშვიდობიანი გარემოს შექნაში თანაბრად უნდა ვიყოთ ყველანი დაინტერესებული. მე ახლა ბევრს ვისმენ, რომ შეიძლება იგივე „ქართულ ოცნებას“ სურვილი აქვს, რომ როგორც სააკაშვილმა 2003 წელს გააკეთა ძალის დემონსტრირებით და ჩხუბით, ამით გატეხოს ხელისუფლება, მე ვიტყოდი და მათაც ვურჩევდი, რომ ეს არ არის კარგი არჩევანი. ძალადობა საკმარისზე მეტი ნახა საქართველოს მოსახლეობამ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, ყველგან – ქალაქად, სოფლად, საქართველოს ყველა კუთხეში. არა მგონია, რომ კიდევ ძალადობის გამოვლინებით ამ შემთხვევაში რაიმე სასურველი შედეგის მიღწევა შეიძლებოდეს. პირიქით, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი გარემო, რომელშიც შეიძლება სააკაშვილი ყველაზე სუსტად გამოიყურებოდეს, როგორც ხელისუფალი. იმიტომ, რომ მან საკუთარი დრო, როგორც ხელისუფალმა, ამოწურა. მიუხედავად იმისა, რომ მე სააკაშვილს არასოდეს ვენდობოდი, როგორც ლიდერს და მით უმეტეს, ის დემოკრატიულობაზე არანაირი ილუზიები არ გამაჩნდა, მას მაინც ჰქონდა საზოგადოების მხარდაჭერა და ძალიან დიდ მხარდაჭერას რაღაც წლების განმავლობაში. ამ მხარდაჭერის და ნდობის ლიმიტიც ერთგვარად ამოიწურა.

***– დღეისათვის სააკაშვილს ქვეყნის შიგნით მხარდამჭერები ფაქტობრივად აღარ ჰყავს?***

– მე არ ვამბობ, რომ მას არა ჰყავს მხარდამჭერები, მაგრამ მადლობა ღმერთს, ეს მხარდამჭერები არ არიან დღეს უკვე არც უმრავლესობა, აქედან გამომდინარე, მშვიდ ვითარებაში მას უკვე იმდენად გაჭრილი აქვს ყველა თავისი ფანდი და იმდენად ნაცნობია უკვე ყველა მისი საარჩევნო ტრიუკი თუ არასაარჩევნო ტრიუკი ქართული საზოგადოებისთვის, რომ მშვიდობიან პერიოდში ის ბევრად უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, როგორც პოლიტიკური ძალის ლიდერი. ამიტომ შევქმნათ მშვიდობიანი გარემო საამისოდ. შევქმნათ არჩევნებისადმი ნდობა. მინდა იმ პოლიტიკური პროცესის მონაწილეს, ოღონდ არა ე.წ. არასამთავრობო მიმართულებასაც მოვუწოდო, რომლებიც სიების გადამოწმების ალტერნატიულ პროცესს ახდენს ვითომ, რომ თუ მათი ინტერესი არის მხოლოდ ის, რომ „სიების გადამოწმების კომისიის“ დისკრედიტაცია მოახდინონ, მე მესმის, რომ მათი პოლიტიკური ინტერესი შეიძლება ეს იყოს, რომ მამუკა კაციტაძის მიერ ჩატარებული სამუშაოს დისკრედიტაცია მოახდინონ. მაგრამ თვითონვე ნუ შექმნიან იმ რეალობას, რომ ამომრჩეველს არ გაუჩინონ არჩევნებისადმი უნდობლობა და თავიდან ნიჰილიზმი, თორემ ეს ნიჰილიზმი, პირველ რიგში, ისევ და ისევ სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს. მე ვფიქრობ, ამაზე ბევრად უფრო მეტი დაფიქრებაა საჭირო, ვიდრე ახლა პოლიტიკური ანგაჟირებულობით წამოწყებული პროცესი. ვგულისხმობ იგივე „ამომრჩეველთა ლიგის“ მიერ წამოწყებულ კამპანიას, რომელსაც აშკარად კამპანიური ხასიათი აქვს ამ ეტაპზე რასაც ვუყურებ და მას ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები აქტიურად იტაცებენ. გავაცნობიეროთ ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების არჩევნებისადმი ნდობა, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს არასახელისუფლებო ძალების მობილიზებისათვის და ისე გადავდგათ ყველა ნაბიჯი.

***– თქვენ საუბარში თითქმის გულნატკენმა ახსენეთ, „ახლები“ ისე არ ჩანან ტელემედიაში, როგორც სხვა ოპოზიციური პარტიებიო. ამ ფონზე თქვენც და პარტიის თავმჯდომარე დავით გამყრელიძეც აცხადებს, რომ სწორედ „ახლებმა“ დაანახეთ ხელისუფლებას სოფლის და სოფლად არსებული პრობლემები და რიგი პრობლემების მოგვარება ხელისუფლებამ უკვე დაიწყო. თუ ტელევიზიით არ ჩანხართ, როგორღა იგებენ „ახლების“ პოზიციას?***

– რაღაც საკითხები კი არა, მე თამამად შემიძლია ვთქვა და ესეც, სამწუხაროდ, მაინცდამაინც არ შეიმჩნია ქართულმა საზოგადოებამ, რომ არც ერთ პოლიტიკურ ძალას დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, არ გაუკეთებია ის, რაც „ახალმა მემარჯვენეებმა“ გავაკეთეთ. რომ საქართველოს სოფლები, რომლებიც თვითონვე თვლიან და ეს არის მათი სიტყვები, რომ საქართველოს რუკაზე აღარ არსებობენ, ამას მოისმენ ყველა სოფელში, იმდენად მიგდებულად და დავიწყებულად თვლიან თავიანთ თავს და თავიანთ სოფლებს. ჩვენ მათ შევახსენეთ, ვუთხარით, პირდაპირი ურთიერთობით, რომ ისინი არათუ დაკარგულები და დავიწყებულები არიან, რომ არჩევნებში განსაკუთრებით მათ ხმას, მათ პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ეს მართლაც ასეა. იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ყველა ხმას აქვს მართლაც რეალურად დიდი მნიშვნელობა, მაგრამ იქ, სადაც ხელისუფლებას უჭირს, ეს არის დიდი ქალაქები და იქ შეიძლება არ ჰქონდეს ისეთი პროცენტული მაჩვენებელი არჩევნების პერიოდში, მის დაბალანსებას ყოველთვის ახდენს სოფლების და რეგიონების ხმებით. ჩვენ ვეუბნებით სოფლის მოსახლეობას, რომ ისინი არიან ძალიან რთულ ვითარებაში. ამ რთულ ვითარებაზე თვითონ ძალიან გულნატკენები და აგრესიულები საუბრობენ. მაგრამ პროცენტული მაჩვენებელი არჩევნების დროს სოფლებიდან ყოველთვის ხელისუფლების სასარგებლოდ მოდის. სოფელმა უნდა დაანახოს ხელისუფლებამ თავისი ძალა, რომ ის იბრძვის თავისი უფლებებისათვის. ყველა ის თემა, რომელიც მემარჯვენეებმა წამოვწიეთ ამ ხნის განმავლობაში, უკლებლივ ყველა ოპოზიციურმა ძალამ, მე არ ვიტყოდი, ამ შემთხვევაში მარტო ხელისუფლებამ დაიწყო ამაზე საუბარი. თუნდაც ეს უკვე პოზიტიურია, რომ დღეს ამაზე საუბარი დაიწყეს. ის, რომ საქართველოს რეგიონების 80%-ში წყალი არ არის, მანამდე ამას არავინ არ ამბობდა, მაგრამ დღეს აღიარა სააკაშვილმა, რომ ეს მართლაც ასეა; რომ საქართველოს სოფლებში უკიდურესი გაჭირვების ქვეშ ცხოვრობენ და იქ ძალიან ძნელია უმწეო და უმწეოს მდგომარეობიდან ცოტა მაღლა მდგომი ადამიანი გამოარჩიოთ. ძალიან ძნელია იმიტომ, რომ იქ ყველა უშემოსავლოდ არის დარჩენილი. ის, რომ სოფელში მხოლოდ პენსიონერს აქვს შემოსავალი და მწარე სიმართლით ხუმრობენ ისინი, რომ პენსიონერია ყველაზე მდიდარი ადამიანი სოფლად. ეს ჩვენ გამოვიტანეთ საზოგადოების სამსჯავროზე. ის, რომ სოფლად გზები და გაზი არ არის, ეს ბანალური თემაა. იმათ ამაზე საერთოდ ხელი აქვთ ჩაქნეული. არის ხშირად გაზიფიცირებული ტრასები, მაგრამ ადგილზე ადამიანებს გაზის შეყვანის შესაძლებლობა არ აქვთ. ჩვენ ამაზე იმდენი ვილაპარაკეთ, რომ ამ დღეებში მოვისმინე, თურმე მარეგულირებელი კომისია გამოვიდა ინიციატივით, რომ განვადებით მოხდეს გლეხებისათვის გაზის შეყვანა ანუ გადავადება თანხის გადახდისა. ეს თანხა ცოტა არ არის, 500-800 ლარის ფარგლებში მერყეობს. რა თქმა უნდა, ჩვენ ილუზია არ გვქონდა, რომ ვინმე ამას მემარჯვენეების ინიციატივად ჩათვლიდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა წარმომადგენლებმა ადგილზეც ბევრი პრესკონფერენციაც მოაწყვეს; ლევან კალანდაძემაც სპეციალური შეთავაზება მოახდინა პრესკონფერენციის მეშვეობით ხელისუფლებისთვის, ხელისუფლებამ ეს თავის თავზე მიიწერა. ფაქტია, რომ ნაბიჯი გადაიდგა და რომ არა „ახალი მემარჯვენეების“ მიერ გაშიშვლებული ეს პრობლემები, ეს ნაბიჯები ნამდვილად არ გადაიდგმებოდა. ეს არის რაღაც საკითხები. ვიღაცას შეიძლება ჰგონია, რომ მარტო ის არის მნიშვნელოვანი, რომ ილაპარაკო, ამან იმაზე ის თქვა, მე ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი, ყველას შეცდომა იყო ის, რომ აქამდე ხალხის გასაჭირზე უფრო ნაკლებს ვლაპარაკობდით და უფრო მეტი დრო პოლიტიკურ შეფასებებს ეთმობოდა. პოლიტიკოსებმა სწორედ ხალხის გასაჭირზე უნდა ვილაპარაკოთ. ვიმეორებ, შეიძლება ბევრმა ბევრი თემა მიიტაცა და პლაგიატი პოლიტიკაშიც თურმე ძალიან აქტუალურია ამ ბოლო პერიოდში, ეს განსაკუთრებულად ჩანს, მაგრამ სამწუხაროდ, საავტორო უფლებების დამცველი საზოგადოება არ იცავს პოლიტიკურ ნოუჰაუებს, ასე ვთქვათ. მაგრამ ჩვენ მზად ვართ, რომ ეს მძიმე ტვირთი ბოლომდე ავწიოთ. ჩვენი პარტიის ლიდერები დღეში 15-20 შეხვედრას ვატარებთ სხვადასხვა სოფლებში, მაგრამ შუქდება მხოლოდ ერთი. ვიღაც სხვა, დეპუტატი იქნება თუ თუნდაც პარლამენტის თავმჯდომარე, ერთხელ ჩავა სოფელში და ისიც ისე გაშუქდება. მე ამ არათანაბრობაზე ვლაპარაკობ. მაგრამ კიდევ ვიმეორებ, ასეთ მედიადაფარვის პირობებში ჩვენთვის ალტერნატივა არ აქვს სწორედ ამ ცოცხალ ურთიერთობებს. ეს ცოცხალი ურთიერთობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სწორედ იმისთვის, რომ ჩვენ მოვახდინოთ საზოგადოების ინფორმირება აი, ამ ძალიან ბევრ პრობლემაზე, რომელიც საქართველოს სოფლებშია ამ შემთხვევაში დაგროვილი.

## ირაკლი ალასანია: ქართული პოლიტიკა ქვების სროლის ხანაში აღარ დაბრუნდება“



კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის ირაკლი ალასანიას განცხადებით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკას ქვების სროლის ხანაში ვეღარ დააბრუნებს.

როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, შიდა ქართლი და კონკრეტულად გორი საქართველოს გულია და იგი ყოველთვის თამაშობდა ერის კონსოლიდაციაში გადამწყვეტ როლს.

„ახლაც ასე იქნება. დღეს აქციაზე ივანიშვილს პროგრამული გამოსვლა ექნება. ის რეგიონისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე გაამახვილებს ყურადღებას, მათ შორის, სოფლის მეურნეობაზე, რათა შიდა ქართლელ გაჭირვებულ გლეხს შრომის საშუალება მიეცეს“-განაცხადა ალასანიამ.

მისივე თქმით, მათი მიზანია მშვიდობიანი, სტაბილური არჩევნების ჩატარება, სადაც ყველა მოქალაქე შეძლებს უსაფრთხო გარემოში თავისუფალი არჩევნების გაკეთებას.

„სამწუხაროდ, სააკაშვილს უნდა ქართული პოლიტიკა ქვების სროლის ხანაში დააბრუნოს, მაგრამ ეს არ გამოუვა. ჩვენ მშვიდად, მიზანმიმართულად გავაგრძელებთ საარჩევნო კამპანიას“-აღნიშნა მან.

კოალიცია „ქართული ოცნების“ აქცია გორში რამდენიმე წუთში დაიწყება. აქციას სხვადასხვა რაიონიდან მხარდამჭერთა კოლონები უკვე შეუერთდნენ.

ნიუსპრესი

## ქდმ ხელისუფლებას კახელი გლეხების დახმარებისკენ მოუწოდებს

„ქრისტიან-დემოკრატები“ ხელისუფლებას კახელი გლეხების დაუყოვნებელი დახმარებისაკენ მოუწოდებენ. ამასთან დაკავშირებით პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ახვლედიანმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა. მისი თქმით, კახელ გლეხებს ატმის უხვმა მოსავალმა პრობლემები შეუქმნა, რადგან ისინი რეალიზაციას დაბალ ფასადაც კი ვერ ახერხებენ. ახვლედიანის განმარტებით, პრობლემის მოგვარების შესახებ პრემიერ-მინისტრის დაპირებები დაგვიანებულია.

„ვანო მერაბიშვილის დაპირებები და ინიციატივები აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად დაგვიანებული იქნება და წლევანდელ მოსავალს ვერ უშველის, რის გამოც აუცილებელია ხელისუფლებამ უზრუნველყოს გლეხების სუბსიდირება, უზრუნველყოს გლეხებისგან ატმის დროული ჩაბარება“, – განაცხადა ახვლედიანმა.

მედიანიუსი

## ჩოხატაურში ცენტრალური უბნის რეაბილიტაცია დასრულებულია

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა გურიის რაიონში პრეზიდენტის რწმუნებულთან, ვალერი ჩიტაიშვილთან ერთად დღეს ჩოხატაურის განახლებული უბანი დაათვალიერა.

მინისტრი მოსახლეობას შეხვდა და დასაქმებულებს მადლობა გადაუხადა.

ჩოხატაურის ცენტრალურ ქუჩაზე შეზღუდული იყო სანიაღვრე არხების მუშაობა, დაზიანებული იყო გზის როგორც საავტომობილო, ისე ფეხით მოსიარულეთა ნაწილიც.

სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 100-მდე ადამიანი მუშაობდა, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლე იყო.

,,გზა, რომელიც ჩვენ ავაშენეთ, იყო ჩოხატაურის ოცნება. წლების განმავლობაში ეს გზა არ არსებობდა. დავასაქმეთ 100 ადამიანი. ეს არის ქართული კომპანია, რომელიც აგრძელებს ბახმაროს გზაზე მუშაობას“, – განაცხადა მინისტრმა.

რამაზ ნიკოლაიშვილმა დღესვე კულტურის სახლის პროექტის პრეზენტაციაც გამართა.

კულტურის სახლის მშენებლობა ჩოხატაურის ცენტრში მომავალი თვიდან დაიწყება და 150-ზე მეტ ადამიანს დაასაქმებს.

მედიანიუსი

## დასაქმების სახელმწიფო მინისტრი ელიავას ბაზრობაზე ხელოსნებს შეხვდა



დასაქმების სახელმწიფო მინისტრმა პაატა ტრაპაიძემ სამუშაოს მაძიებელ პირებთან დღეს პირველი შეხვედრა გამართა.

კერძოდ, მინისტრი ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე მივიდა და იქ მყოფ ხელოსნებს გაესაუბრა, რომლებიც გამოძახების მოლოდინში მთელი დღის განმავლობაში ბაზრობის მიმდებარედ იმყოფებიან.

ტრაპაიძემ მათ სამუშაოს მაძიებელთა საერთო ბაზის შექმნის შესახებ სახელმწიფოს გეგმა გააცნო.

მიმდინარე წლის 25 ივლისიდან, საქართველოს 25 ქალაქში, დასაქმების აგენტები უმუშევართა აღრიცხვას დაიწყებენ.

სახელმწიფოს გეგმის მიხედვით, დასაქმების მსურველები აპლიკაციებს შეავსებენ, რომელიც დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატს გადაეცემა, რის შემდეგაც უწყება აღრიცხულთა პირველ ტესტირებას ჩაატარებს.

ნიუსპრესი

## შატილის კომპლექსის სამხრეთ ფასადი ჩამოინგრა

ძლიერი წვიმის გამო შატილის კომპლექსის სამხრეთ ფასადი ჩამოინგრა. ადგილობრივი მოსახლეობიას და ტურისტების ინფორმაციით, მთლიანადაა ჩამოშლილი შვიდმეტრიანი კედელი. ნგრევის საფრთხე აივნებიან კოშკებსაც ემუქრება.

შატილის ძეგლთა გადარჩენის საპროექტო დოკუმენტაცია უკვე არსებობს. სარეაბილიტაციო პროექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ტენდერში გამარჯვებული კომპანია უკვე გამოავლინა და სამუშაოების დაწყება ერთ კვირაში იგეგმება.

მედიანიუსი

## სააკაშვილი ყაზბეგში ახალი სასტუმროს გახსნას რუსებთან ურთიერთობის შენარჩუნების წინაპირობად აფასებს



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყაზბეგში ახალი სასტუმროს გახსნას რუსებთან მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნების საწინდრად აფასებს. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა შაბათს, ყაზბეგში სტუმრობისას განაცხადა.

მისი თქმით, რუსებთან ურთიერთობა და სახალხო დიპლომატია სწორედ ეს არის, რადგან მარტო ამ სასტუმროში ასიათასობით რუსი ჩამოვა. საქართველოში ჩამოსული რუსები კი ნორმალურ, მშვიდობიან საქართველოს ნახავენ.

„ნახავენ, რომ ყაზბეგის თბილისთან დაკავშირება გვირაბით მოხდება. ამ გვირაბისთვის პრაქტიკულად ფული მოძიებული გვაქვს. ეს ყველაზე რთული გვირაბია, რაც საქართველოს ისტორიაში აშენებულა. ოღონდ როკის გვირაბისგან განსხვავებით ეს ძალიან მნიშვნელოვანია“ – განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ მიმოსვლის დაწყების შემდეგ რუსეთის მთავრობას საქართველოში ახალი ავანტიურის მოწყობა ძალიან გაუჭირდება.

პრეზიდენტის თქმით, რუსებთან ურთიერთობის შენარჩუნებისთვის ხალხთა შორის ურთიერთობები უკვე ინტენსიურად მიმდინარეობს.

„საზღვართან რამდენიმეჯერ კამერების გარეშე მივედი და ხალხს ხელი ჩამოვართვი. იქ საქართველოს მტრები არ არიან, უბრალოდ მთავრობა ჰყავთ ასეთი, რომლებიც ჯერჯერობით ასე ფიქრობენ. მთავარი ხალხთან ასეთი მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნებაა. ეს სასტუმრო კი ამის ძალიან მნიშვნელოვანი საწინდარია“ – განაცხადა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი დღეს ყაზბეგს ესტუმრა და დაბა სტეფანწმინდაში 156 ნომრიანი ახლადგახსნილი სასტუმრო „რუმს ყაზბეგი“ დაათვალიერა.

**ნიუსპრესი**

## ვაშაძეს უკვირს, რატომ არ ურეკავენ კრემლიდან

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გრიგოლ ვაშაძეს უკვირს თუ კრემლში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან საუბარი არ სურთ, მაშინ მას რატომ არ ურეკავენ.

ამის შესახებ ვაშაძემ რადიო სადგურ „ეხო მოსკვის“ მთავარ რედაქტორ ალექსეი ვენედიქტოვისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ვენედიქტოვმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ მზად არის პრეზიდენტ სააკაშვილის გარდა, ქართულ მხარესთან დიალოგი გამართოს ნებისმიერ დროს და ადგილას.

კორესპონდენტის საპასუხოდ ვაშაძემ განაცხადა, რომ – „მერე რა პრობლემაა, ყველას აქვს ჩემი მობილური ტელეფონის ნომერი. რაშია პრობლემა ვერ გაიგე. რა საქართველოს პრეზიდენტს ავიღებ და ჩემოდანში ჩავსვავ და ისე წავიყვან მოლაპარაკებებზე თუ რა არის.. არ ჩაეტევა. ორ მეტრზე მეტია. რა პრობლემაა. არ მოგწონთ ვაშაძე, მაშინ ელაპარკეთ შაშკინს, არ მოგწონთ შაშკინი, ელაპარაკეთ მერაბიშვილს“ – განაცხადა ვაშაძემ.

ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრის შეფასებით, თუ რუსეთის ხელისუფლებას იმის იმედი აქვს, რომ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში აფხაზეთში და ცხინვალში საელჩოებს გახსნის, ან რუსეთს რკინიგზას აჩუქებს ან მისცემს უფლებას ღამით ბაქო-თბილის-ჯეიჰანის მილსადენის მწყობრიდან გამოიყვანოს, მსგავსი არაფერი მოხდება და ყველაფერი ისევ ისე იქნება, როგორც არის.

**ნიუსპრესი**



## მომღერალი გიორგი ფოჩხუა მოკლეს

ექსპერტიზის პირველადი დასკვნით, მომღერალსა და მსახიობ გიორგი ფოჩხუას სახეზე დაზიანებები აღენიშნება, – ამის შესახებ გარდაცვლილის ოჯახის წევრები აცხადებენ და ფიქრობენ, რომ ის მოკლულია.

დაღუპულის დის, ელენე ფოჩხუას განცხადებით, გარდაცვლილს დაზიანებები თვალისა და ყელის არეში აქვს მიყენებული. „მოკლულია ნამდვილად. ნაცემია, თვალებზე სილურჯე აქვს, ყელზე კი ხელი ან თოკი აქვს მოჭერილი – ან ზღვაში ჩაახრჩვეს ან მოკლეს და შემდეგ გახადეს ტანსაცმელი, რომ ყველას გაეგო, თითქოს გიორგი დაიხრჩო. ის ნასვამი იყო, მეგობრებთან ერთად ქეიფობდა, ზუსტად ვიცი, წყალში ნასვამი არასდროს ჩადიოდა“, – აცხადებს ელენე ფოჩხუა.

გარდაცვლილის მამიდის, ნარგიზა ფოჩხუას ვარაუდით კი, გიორგი ფოჩხუა მკვლელობამდე გაძარცვეს. „მას წაართვეს მობილური ტელეფონი, საქორწინო ბეჭედი და ფოტოაპარატი. ამის შემდეგ კი მოკლეს“, – ამბობს ნარგიზა ფოჩხუა.

დაღუპულის ოჯახის წევრების ინფორმაციით, მკვლელის ვინაობა ცნობილია და მას გამოძიება ეძებს.

მსახიობისა და მომღერლის, გიორგი ფოჩხუას ცხედარი ანაკლიაში ზღვამ გუშინ გამორიყა. ქუთაისში ცხედრის ექსპერტიზა გუშინ დასრულდა. ამ დროისთვის კი გარდაცვლილი სამეგრელოში, საკუთარ სახლშია გადასვენებული.

**ინტერპრესნიუსი**

# მამუკა არეშიძე: რუსი გენერლები საქართველოს ორად გაყოფის გეგმაზე ალაპარაკდნენ“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან



***– ბატონო მამუკა, საუბარია იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ ყველა რეგიონში შეიარაღებული დაჯგუფებები შექმნაო. თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია ამის შესახებ და როგორ შეაფასებდით კარალეთში მომხდარ ინციდენტს?***

– ეს საკითხი უნდა დავყოთ შემდეგნაირად. შეიარაღებულ დაჯგუფებებს ვერ დავარქმევთ იმ ხალხს, ვინც, ვთქვათ, კარალეთის ინციდენტში მონაწილეობდა და შემდგომში სხვა ინციდენტებშიც, რომელიც ეხებოდა დევნილებს, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, ან კიდევ კონფლიქტის ზონასთან ახლოს მაცხოვრებელ ადამიანებს. ზოგ შემთხვევაში ისინი იყვნენ გამგეობის წევრები და მათი ოჯახის წევრებიც კი, ზოგ შემთხვევაში იყვნენ ზონდერ ბრიგადების კლასიკური წარმომადგენლები, მაგალითად, მერეთის შემთხვევაში. ზოგ შემთხვევაში ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც შესაბამისად იყვნენ დამუშავებული. რაც შეეხება შეიარაღებულ ფორმირებებს, ეს შეიარაღებული ფორმირებები ბევრ რეგიონშია შექმნილი, ყოველ შემთხვევაში პერსპექტიული თვალსაზრისით. შეიარაღებას მიიღებენ მერე, როდესაც ქვეყანას გაუჭირდება. იმ შემთხვევებისას, რომელიც მე ზემოთ ჩამოვთვალე, მარტო ეს ადამიანები არ გამოიყენებოდნენ, გამოიყენებოდნენ სხვა ტიპის ადამიანებიც.

***– რას გულისხმობთ?***

– ეს არის ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებულია დაშინებაზე, იმაზე რომ შეიქმნას შიშის სინდრომი ქვეყანაში, იმაზე რომ გაუწიონ წინააღმდეგობა ოპოზიციას ამ ფორმით. საერთოდ ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ხელისუფლება ყველაფერზეა წამსვლელი იმისთვის, რომ არჩევნები მოიგოს. მაგალითად, შიდა ქართლის შემთხვევაში, მერეთის და კარალეთის გარდა მიმდინარეობდა პარალელური პროცესი, შეხვედრები მოსახლეობასთან და იქ არანაირი ექსცესი არ მომხდარა. მაგალითად კასპში, ქარელში, თვითონ გორის რაიონის სხვა სოფლებში. ეს ძალიან საყურადღებო თემაა. საზოგადოებას, რომელიც საქმეში ჩახედული არ არის, ჰგონია, რომ ყველგან ერთნაირი სიტუაციაა, არ არის ასე. მინდა, რომ ხაზი გაესვას ამას. ქართული ოცნების ბრიგადები იმყოფებოდა ყველა ამ რაიონში. ექსცესები ხდებოდა მარტო გორის რაიონის იმ სოფლებში, სადაც ლტოლვილები იყვნენ ჩასახლებული, ან ახლოს იყო კონფლიქტის ზონის საზღვართან. მე ვიყავი კონფლიქტის ზონის რამდენიმე სოფელში, სადაც არაფერი ანალოგიური არ მომხდარა. თუმცა წინა დღეს ასეთი ექსცესები მოხდა. მე რომ ვიყავი ამ სოფლებში, სწორედ მაშინ ხდებოდა ადმინისტრაციული ცვლილება, შეიცვალა გორის გუბერნატორი, შეიცვალნენ თანამდებობის პირები და როგორც ჩანს, იმ დღეს არ ცხელოდა ხელისუფლებას იმისთვის, რომ გამოეყვანა ეს სპეცჯგუფები ოპოზიციონერი სტუმრების წინააღმდეგ. ეს ის საინტერესო დეტალებია, რომელსაც მოსახლეობამ ყურადღება უნდა მიაქციოს. იმ სოფლებში, რაიონებში, რომლებიც დაშორებულია კონფლიქტის ზონიდან, მსგავს ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.

***– ხელისუფლება ცდილობს, რომ დევნილების ფაქტორი გამოიყენოს სათავისოდ?***

– რასაკვირველია. თან ნამუშევარია სერიოზულად. სამაჩაბლოდან დევნილებს, იმის გამო, რომ არ ყოფილიყო მათი მხრიდან საპროტესტო განწყობები, მიუდგნენ კნუტისა და თაფლაკვერას პრინციპით. ერთის მხრივ, მისცეს კომპენსაციები და მეორეს მხრივ, დააშინეს თავიდანვე, რომ ხმა არავინ არ ამოიღოს, თქვენი აქტივობა არ გამოჩნდესო. ისინი უნდა იყვნენ ხელისუფლების მადლიერნი და არ უნდა შეუერთდნენ საყოველთაო საპროტესტო ტალღას.

***– კი მაგრამ, რატომ ავიწყდებათ დევნილებს, ვისი პოლიტიკის შედეგად არიან ამ დღეში?***

– ქართული გამოთქმაა – შეძახილმა ხე გაახმოო, დღე და ღამე ერთსა და იმავეს რომ ელაპარაკები, მით უმეტეს, ისეთ ადამიანს, რომელიც არის თავისი სოციალური პრობლემებით დაკავებული, სწორედ ეს არის ზომბირება, როდესაც მუდმივად ელაპარაკები და თან ამ ადამიანს თავისი პრობლემა აქვს და ვერ ახერხებს ორიენტირებას და საბოლოო ჯამში იჯერებს იმას, რასაც ეუბნები. მეორე, ის ადამიანები, ვინც გამოვიდნენ სტუმარი ოპოზიციონერების წინააღმდეგ, ეს ხომ ნაწილია იმ ადამიანებისა, რომლებიც ცხოვრობენ იმ რეგიონში, მაგრამ შიშის გამო ვერ გამოდიან. იგივე მერეთში, თანასოფლელები ერთმანეთს უტევენ. იქ არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც სხვანაირად ფიქრობენ. მათზე სერიოზული ზეწოლა ხორციელდება, ძალიან რთულია, რომ მარტო დარჩენილმა ადამიანმა ამხელა ზეწოლას გაუძლოს. ასე რომ, რასაც აჩვენებენ, ყველაფერი ისე არ არის.

***– საკმაოდ დიდი შიში არსებობს იმისა, რომ შესაძლოა ხელისუფლებამ ეს ყველაფერი სამოქალაქო დაპირისპირების ჭრილში გადაიყვანოსო...***

– სწორედ რომ ეს უნდა მეთქვა მოგვიანებით. ის ზიზღი და ის მიუღებლობა, რაც არის საზოგადოების ერთ ნაწილში, მეორე ნაწილის მიმართ, მე იქ ვიყავი და ამ ყველაფერს თვალნათლივ ვუყურებდი, როგორ ღრმავდება უფსკრული საზოგადოების ნაწილებს შორის, ადამიანებს შორის. უფსკრული იმდენად ღრმავდება, რომ ხიდის გადების საშუალებასაც აღარ იტოვებს. ეს კეთდება შეგნებულად ხელისუფლების მხრიდან. იმის მაგივრად, რომ მოახერხოს ხალხის კონსოლიდაცია, თუ გინდა თავის სასარგებლოდ, იმის მაგივრად, ეს გაეკეთებინა წლების განმავლობაში და ამის საშუალება მას ნამდვილად ჰქონდა 2004 წლიდან მოყოლებული, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კონფრონტაციის ველი შეექმნა, საზოგადოებრივი კონფრონტაციის და ადამიანები ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა. ვიმეორებ, ეს უფსკრული უფრო და უფრო ღრმავდება. ამ უფსკრულის ფინალი არის, როგორც წესი, სამოქალაქო დაპირისპირება, სამოქალაქო ომი. ეს კეთდება აბსოლუტურად შეგნებულად. ვიმეორებ, თუ საპროტესტო განწყობები საზოგადოებაში იზრდება, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების დამსახურება. არავის არ უნდა დაავიწყდეს 2007 წელი. აი, 2007 წელი იყო წყალგამყოფი, ამ თვალსაზრისით. 2008-მ თავისი უზარმაზარი როლი ითამაშა. ხელისუფლებამ, რომელსაც ჰქონდა საუკეთესო სასტარტო პირობები, დაუშვა 2007 წელი და შემდეგ უკვე ეს ყველაფერი წავიდა აღმავალი პრინციპით. ყველაფერი მიდის კონფრონტაციამდე. მე მეშინია, რომ არჩევნების დღე არ იქცეს სამოქალაქო ომის დღედ, იმდენად არის პოლარიზებული განწყობები საზოგადოებაში. ეს ყველაფერი მე მახსენებს 90-იანი წლების დასაწყისს, როცა უაღრესად პოლიტიზებული საზოგადოება იყო მზად, ერთმანეთი დაეხოცათ. ეს მოხდა კიდევაც.

***– ამაზე მიზანმიმართულად მიდის ხელისუფლება?***

– მაშინდელი ხელისუფლებისგან განსხვავებით, ეს ხელისუფლება შეგნებულად მიდის ამაზე. მაშინდელმა ხელისუფლებამ ალღო ვერ აუღო მოვლენების განვითარებას და დაუშვა სამოქალაქო დაპირისპირება. ეს ხელისუფლება კი შეგნებულად მიდის ამაზე.

***– სააკაშვილი წასვლაზე არც კი ფიქრობსო...***

– ეს არის პიარტექნოლოგიის ნაწილი, აბა, ხო მარ გამოვა და იტყვის უნდა წავიდეო. საქართველოს ისტორიაში არის ასეთი პიროვნება, როგორიც იყო გუჩი, ისტორიული პიროვნება, რომელიც საქართველოს ისტორიაში დარჩა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მან დაინახა რა იყო ქვეყნისთვის საჭირო და აუცილებელი და მან იმისათვის, რომ ქვეყანა ყოფილიყო ერთიანი და ძლიერი თავისი ხელისუფლება დათმო შეგნებულად, თავისი ინიციატივით, ეს მისთვის არავის არ უთხოვია. იგივე გააკეთა დავით კურაპალატმა, იგივე გააკეთა იოანე მაროშიძემ და მაგიტომაც შემორჩნენ ეს ადამიანები ისტორიას. ამას ძალიან დიდი ნებისყოფა, ვაჟკაცობა და სიბრძნე სჭირდება, რომ ასეთი ტიპის ნაბიჯი გადადგა. დღეს ჩვენს ხელისუფლებაში არ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც, იმისთვის, რომ ქვეყნის ერთიანობა შეინარჩუნონ, საზოგადოების ერთობა განამტკიცონ, ამ ტიპის ნაბიჯზე წავიდნენ. არ არიან ამ ტიპის ადამიანები და ნუ მოვთხოვთ ამას. მე კი ვთხოვ, მაგრამ შედეგი არ იქნება.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ შესაძლოა არჩევნების დღე სამოქალაქო დაპირისპირების დღედ იქცესო, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს თავიდან იქნეს აცილებული?***

– პირველ რიგში უნდა გააცნობიეროს საზოგადოებამ, რაზე მიდის ხელისუფლება. ხელისუფლება მიდის იმაზე, რომ არ დათმოს არაფერი, შეინარჩუნოს თავისი ძალაუფლება, რომ ის ამისთვის უკან არ დაიხევს არც სამოქალაქო ომზე. ამის გაცნობიერებამ შიში და ნიჰილიზმი არ უნდა გამოიწვიოს, რომ არიქა, არაფერი არ ეშველება ამ საქმეს. პირიქით, ამის გაცნობიერების შემდეგ უნდა გადაიდგას საზოგადოებრივი კონსოლიდაციისკენ ნაბიჯი. მე ვგულისხმობ იმას, რომ ადამიანები, რომლებიც საპროტესტოდ არიან განწყობილები, ცხოვრობენ რეგიონებში, სოფლად თუ ქალაქებში, ისინი უნდა იქცნენ ცოცხალ აგიტატორებად. ზუსტად იმის აგიტატორებად, რომ არ მოხდეს სამოქალაქო დაპირისპირება. ამისათვის ძალიან სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაიდგას. არჩევნებს არ შეიძლება გადააყოლო სახელმწიფოს ძლიერება. ამ ტიპის სამოქალაქო დაპირისპირება, რომელიც შეიძლება ახლა მოხდეს, ამან შეიძლება საქართველოს ფინალი მოიტანოს. ის, რაც დარჩა საქართველოდან. იმიტომ, რომ დღეს ჩვენ ვართ ძალიან სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილებების პროცესში, დღეს თუ ხვალ შეიძლება დაიწყოს ირანთან დაკავშირებული კონფრონტაცია. ძალიან ბევრი, სერიოზული მოთამაშე, კავკასიაში პოლიტიკური ნიშნის დაკავებაზე მუშაობს. ნებისმიერი შიდა დაპირისპირება ქვეყანაში, რომელიც ყველაზე სუსტი რგოლია კავკასიაში, გამოიწვევს ამ ძალების ჩართვას. მარტო მტერი კი არა, მოყვარეც კი შეეცდება, რომ თავისი მდგომარეობა განიმტკიცოს შენს ხარჯზე, რომ თავისი გავლენები არ დაკარგოს. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მე არაერთხელ მივარაუდია, რომ თუ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი ირანთან და თუ იქ მოხდა ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია, მაშინ რუსეთი აუცილებლად გადადგამს საპასუხო ნაბიჯს და ეს საპასუხო ნაბიჯი საქართველო იქნება. გათვლის მიხედვით ეს ყველაფერი უნდა იყოს შემოდგომაზე. ჩვენი სამოქალაქო დაპირისპირებით ამ პროცესის ანტიქართულ ქმედებას ხელს შევუწყობთ. ხანდახან ვფიქრობ კიდევაც, რომ ხელისუფლებას ეს ყველაფერი ბრწყინვალედ აქვს გათვლილი და ზუსტად ამაზე მიდის.

***– იმის თქმა გინდათ, რომ დაგეგმილი სცენარია?***

– დიახ, იმისთვის, რომ შექმნას კრიზისული ფონი, შექმნას დაძაბული მდგომარეობა ქვეყანაში, აიძულოს მავანი რაღაცა ნაბიჯები გადადგას საქართველოს წინააღმდეგ და შემდეგ გამოვიდეს ჩაგრულის და დევნილის პოზაში.

***– იყო იმაზეც საუბარი, რომ სააკაშვილი ქუთაისს იქით მართავს საქართველოს, აღმოსავლეთ ნაწილს კი დათმობსო...***

– საუბრობენ კი არა, ამას პირდაპირ ვამბობ. თუ მოხდა საქართველოს შუაზე გაჭრა და ეს იგეგმება რუსეთის მხრიდან როგორც ჩანს. ამას მარტო მე კი არ ვამბობ, ამას ამბობს გენერალი ნეტკაჩოვი, რომელიც ძალიან ახლოს არის რუსეთის გენშტაბთან და ყველაფერი კარგად იცის, რაც ხდება. მაშინ ძალიან ლოგიკურია ქუთაისში პარლამენტის გადატანა, ეს ნიშნავს იმას, რომ ბლოკირებულ აღმოსავლეთ საქართველოს გაერიდება ხელისუფლება და ქუთაისიდან გააგრძელებს ქვეყნის მართვას. ყოველ შემთხვევაში მას ასე უნდა.

საზოგადოებას ძალიან დიდი სიფრთხილე და ძალიან დიდი მუშაობა მართებს. ამას რატომ ვუსვამ ხაზს, არსებობს ოპოზიციაში ეგეთი განწყობები, ზოგიერთ პოლიტიკურ ლიდერს, მეორე-მესამე კატეგორიის, უკვე ეიფორიული განწყობა აქვს, რომ არიქა, მოგებულია არჩევნები, არიქა, ჩვენ გავიმარჯვეთ... არ არის ეს ასე. ჯერ არავის არ გაუმარჯვია. ძალიან სერიოზული, ყოველდღიური, დაძაბული მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ შედეგი გვქონდეს. თანაც ასეთ შეზღუდულ გარემოში, როცა ფინანსური სივრცე შეზღუდული გაქვს, მოქმედების სივრცე შეზღუდული გაქვს, ძალიან სერიოზული მუშაობაა საჭირო. ზოგიერთი წამოწოლილია მხართეძოზე და ჰგონია, რომ ოქტომბრის ბოლოს უკვე ჩაიბარებს დეპუტატის სავარძელს. არ არის ეს ასე.

# დაფუძნდა საქველმოქმედო ფონდი „ამაღლება 2012“

**საქველმოქმედო საზოგადოება „ამაღლება—2012“ მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საქართველოდან საუკუნეების წინ იძულებით გადაადგილებულ ქართველთა დაბრუნება-დაფუძნებას თავის ისტორიულ სამშობლოში. ფონდი „ამაღლება—2012“ საქართველოს პატრიარქის ლოცვა—კურთხევით დაფუძნდა. საქველმოქმედო საზოგადოებას ასევე მხარს უჭერს სახელმწიფო კეთილშობილური მიზნების განხორციელებაში.**

ნათია ხურცილავა

**ვახტანგ თორაძე, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი:**

— ამ პროექტის იდეა ასე დაიწყო: 2005 წელს საქართველოში ფერეიდნელი ახალგაზრდები ჩამოვიდნენ. მაშინ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ ტელევიზიით განაცხადა, რომ საქართველოში ჩამოსულ ფერეიდნელ ახალგაზრდებს სურდათ საქართველოში სწავლა. მე უნივერსიტეტის რექტორი გახლავართ, დევუკავშირდი სამინისტროს და ვუთხარი, რომ მზად ვიყავი, მიმეღო ეს ახალგაზრდები და უფასოდ მესწავლებინა ხუთი წლის განმავლობაში. მართლაც 20-მადე ახალგაზრდა მოვიდა ჩემთან უნივერსიტეტში, ისინი მე-16 საუკუნის ქართულით საუბრობდნენ. საჭირო გახდა, ერთი წელი გადამზადების კურსი გაევლოთ. მერე ფაკულტეტიც აირჩიეს და ჩააბარეს. პარალელურად შევქმენით ანსამბლი „ფერეიდანი“. ანსამბლი ყველა კონკურსზე იღებდა მონაწილეობას, მათ შორის ფესტივალ „ჩვენებურებზეც“. ამ ბიჭებმა დაამთავრეს უნივერსიტეტი, მაგრამ ახალი ნაკადი ჩამოვიდა, ისინიც აირჩევენ სპეციალობებს და გააგრძელებენ ჩვენთან სწავლას. ამ ბიჭების ცხოვრების შესახებ გადაცემა „იმედის გმირები“ ეთერში გავიდა, მეორე დღეს დამიკავშირდა თემურ ჩომახაშვილი და შემომთავაზა, შეგვექმნა საქველმოქმედო საზოგადოება, რომ დაგვეარსებინა პატარა სოფელი სამშობლოდან გადახვეწილი ქართველებისთვის, არა მხოლოდ ფერეიდნელი ქართველებისთვის, არამედ ყველასთვის, ვისაც სამშობლო ბედის უკუღმართობის გამო დაატოვებინეს და მათთვის ვინც გადაწყვეტს, რომ სამშობლოს დაუბრუნდეს. ბატონმა თემურმა საკუთარი მიწის ფართობი გაიღო ამ სოფლის ასაშენებლად, რომელიც თელეთის სიახლოვეს მდებარეობს. ასე შეიქმნა საქველმოქმედო საზოგადოება „ამაღლება – 2012“. სხვათა შორის ამ ადამიანების დასაქმებაზეც ვიფიქრეთ, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ სათბურები ავაშენოთ, ხელი მივყოთ მესაქონლეობას, ეს ყველაფერი იქვე, თელეთის მიდამოებში აშენდება.

*— ხელისუფლება თუ გიჭერთ მხარს?*

— რა თქმა უნდა. რაიონის, ადგილობრივი ხელისუფლება, სხვები, მაგრამ საჭირო თანხები, იმედი გვაქვს ქართველების, ქართველი ბიზნესმენების.

**თემურ ჩომახაშვილი, „ამაღლება – 2012“-ს პრეზიდენტი:**

— ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა „იმედის“ გმირმა, ბატონმა ვახტანგ თორაძემ, რომელზეც სიუჟეტი ვნახე. მაშინ გამიჩნდა იდეა, რომ მეც მიმეღო მონაწილეობა და დამეფუძნებინა საქველმოქმედო საზოგადოება. ასე გაჩნდა იდეა, რომ შექმნილიყო „ამაღლება–2012“, რომლიც საშუალებას მისცემდა სამშობლოდან გადახვეწილ ქართველობას, უკან, სამშობლოში დაბრუნების. ისტორიულ სამშობლოში, რომ დაბრუნდნენ ეს ადამიანები, საჭირო იყო მათთვის აშენებულიყო სოფელი, მე გადავეცი ჩემი საკუთრება, მიწის ფართობი, სადაც გვინდა აშენდეს სოფელი. ჯერ საუბარია მხოლოდ 10 ოჯახზე. ამ იდეას საოცარი გრძნობით შეხვდნენ, მათი განწყობის გადმოცემა ენით შეუძლებელია. მხარდაჭერა გვაქვს გარდაბნის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარისა და ქვემო ქართლის გუბერნატორის.

***მათე ტაკიძე, ფონდი „წმინდა ანდრიას ჯვარი“ დირექტორი:***

— „ამაღლება–2012“ უკვე წარდგა საზოგადოების წინაშე. პროექტი დალოცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. პროექტის ძირითადი იდეაა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების სამშობლოში დაბრუნება. პირველ ეტაზე საუბარია 10 საცხოვრებელ სახლზე. სამომავლოდ იგეგმება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში უფასო განათლების მიღება. შესაბამისად ამ ადამიანების დასაქმება და ა.შ. ძალიან დიდი დაინტერესება არის სახელმწიფოს მხრიდანაც ამ პროექტის მიმართ. ჩვენ უკვე შევხვდით საქართველოს დიასპორის სამინისტროს წარმომადგენლებს, სწორედ მათი მხარდაჭერით მოხდება ამ პროექტის განხორციელება, უკვე შევხვდით ქვემო ქართლის ვიცე-გუბერნატორს, საქმის კურსშია გუბერნატორიც, გარდაბანის გამგეობა. დაინტერესება ძალიან დიდია. საქველმოქმედო ფონდებთან, სხვადასხვა ბიზნესკომპანიებთან ერთად და კეთილ ადამიანებთან, ნებისმიერ შემომწირველთან ერთად ჩვენ მოვახერხებთ, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. განწყობა საოცრად ამაღლებულია.

საქველმოქმედო ფონდ „ამაღლება–2012“ პრეზენტაციას ფერეიდნიდან ჩამოსული ორი სტუდენტი ესწრებოდა, სარა გურჯი და ანდრო ნაგელიშვილი, რომელიც ორი სახელითა და გვარით გამეცნო.

**ანდრო–ამინი ნაგელიანი–ნაგელიშვილი:**

— მიხარია, რომ საქართველოში ჩამოვედი და ჩემი თვალით ვნახე სამშობლო. მადლობა უწმინდესსა და უნეტარესს, რომელიც ძალიან მიყვარს. მასთან შესახვედრად ვემზადები. სწორედ მან დაგვპატიჟა და უკვე საქართველოში ვართ. 20 ფერეიდნელი ქართველი ჩამოვედით, უმრავლესობა სტუდენტები ვართ. მე პირადად ირანში ვსწავლობ უნივერსიტეტში. ბევრი რამ მოვისმინე საქართველოს ისტორიაზე, ლიტერატურაზე, კულტურაზე, ლექციები წაგვიკითხეს აქ, ძალიან საინტერესო იყო. ბევრი მოვისმინე ქართულ ენაზე. ჩვენ, როგორც იცით, ძველი ქართულით, მე-16, მე-17 საუკუნის ქართულით ვსაუბრობთ. რაც მოვისმინე ძალიან საინტერესო და საჭირო იყო ჩვენთვის. ერთმა ჩემმა აქაურმა მეგობარმა, რომელმაც სადილზე დაგვპატიჟა, ამ პროექტის შესახებ მითხრა და პრეზენტაციაზეც მოვედით. ძალიან გამიხარდა. ფერეიდანში პატარა საქართველო გვაქვს, ყველა ქართულად საუბრობს. ისპაჰანის რაიონის დასავლეთ ნაწილშია გაშენებული. იქ, ყველა – მოხუცები, ახალგაზრდები, ბავშვები – ქართულად ლაპარაკობს. ქუჩებში რომ გაისეირნოთ, ყველგან ქართული წარწერა გვაქვს გაკეთებული, მაღაზიებზე, მანქანებზე სულ ქართული წარწერებია. მაგრამ აქ სულ სხვაა. ძალიან მომეწონა, აქ ყველაფერი კარგია. ყველა მიყვარს. ქართული მიწა მაინც სხვაა. ფეხი რომ დავადგი ამ მიწაზე სხვანაირად ვიგრძენი ყველაფერი. თითქოს დიდი ხნის წინ ვიყავი წასული და ახლა სახლში დავბრუნდი.

# საია საქართველო არ იყიდება“ საქმიანობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

ახალგაზრდთა იურისტთა ასოციაცია ორგანიზაცია – „საქართველო არ იყიდება“ საქმიანობასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის 261 მუხლის მოთხოვნათა თანახმად, პარტიისთვის დადგენილი რეგულაციები „ვრცელდება იმ პირზე, რომელსაც აქვს გაცხადებული საარჩევნო მიზნები და რომელიც ამ მიზნების მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებს“.

„როგორც ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება“-ს განცხადებებიდან იკვეთება, მას არ გააჩნია საარჩევნო მიზანი, თუმცა, შესაძლოა ჰქონდეს პოლიტიკური მიზანი, რაც კანონმდებლობით გამიჯნულია ერთმანეთისგან. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე გაკვირვებას იწვევს ორგანიზაციის მიმართვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისადმი, სადაც ის 261 მუხლით გათვალისწინებულ პირად ცნობას ითხოვს. შესაძლოა, ეს უკავშირდებოდეს ორგანიზაციის სურვილს, ასეთი სტატუსის მიღებით განახოციელოს საქმიანობა, რაც სხვა შემთხვევაში კანონით აკრძალული იქნებოდა“ – ნათქვამია განცხადებში.

კერძოდ, კი საიაში განმარტავენ, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რომელიმე პარტიის საწინააღმდეგოდ ფინანსური რესურსის ხარჯვას იგივე შეზღუდვები უწესდება, რაც პარტიის სასარგებლოდ განხორციელებულ შემოწირულებებს. იმ შემთხვევაში, თუ ის ხორციელდება იურიდიული პირის მიერ, აღნიშნული უკანონოა და ისჯება თანხის ხუთმაგი ოდენობით.

„მედიასაშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში „საქართველო არ იყიდებას“ თავმჯდომარე გიგა ნასარიძე განმარტავს, რომ ორგანიზაციამ კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის საწინააღმდეგოდ დამზადებული რეკლამა განათავსა ტელეკომპანიების – „რუსთავი2“-ისა და „იმედის“ ეთერში. მიგვაჩნია, რომ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის თანახმად ორგანიზაციის მიერ ტელეკომპანიების ეთერში განთავსებული სარეკლამო რგოლები წარმოადგენს იურიდიული პირის მიერ განხორციელებულ შემოწირულებას რეკლამის დამზადებაზე/განთავსებაზე დახარჯული ფინანსური რესურსის მოცულობით. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით კი, იურიდიულ პირებს აეკრძალათ შემოწირულების განხორციელება“ – განმარტავენ საიაში.

მათივე თქმით, რადგან ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება“-ს საარჩევნო მიზნები არა აქვს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა არ უნდა მოახდინოს მისთვის 261 მუხლით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭება, არამედ უნდა იმსჯელოს უკანონო შემოწირულების განხორციელებისთვის მისი დაჯარიმების საკითხზე.

10 ივლისს დარეგისტრირდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველო არ იყიდება“, რომლის მიზანია საზოგადოებას ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს ბიძინა ივანიშილის ქართულ პოლიტიკაში მოღვაწეობის შესახებ, ხელი შეუწყოს ოლიგარქული ფულისა და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესების ერთმანეთისაგან გამიჯვნას, რათა არ მოხდეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და ამომრჩეველთა მოსყიდვის წახალისება.

**ნიუსპრესი**

# თბილისური სატრანსპორტო ჯოჯოხეთი

სულ ახლახანს მსოფლიოს ბედნიერ ქვეყნებს შორის საქართველო 55 ადგილზე დასახელდა. ნამდვილად არ ვიცი რა კრიტერიუმებით განსაზღვრეს ჩვენი ბედნიერების მაჩვენებელი, თუმცა ერთში დარწმუნებული ვარ, თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე ხალხის აზრი ამ კვლევაში გათვალისწინებული არ არის.



ხალხს პირობითად ვამბობ, თორემ ისეთ პირობებში მგზავრობას, როგორსაც ჩვენი საამაყო მერია და კიდევ უფრო საამაყო მერი გვთავაზობს, თავმოყვარე ქვეყანაში ძაღლსაც კი არ აკადრებდნენ.

გასაგებია ბატონებო რომ ფული გიჭირთ, უსერიოზულეს მოწინააღმდეგესთან ხართ ბრძოლაში ჩაბმული, მაგრამ არაა აუცილებელი ისედაც მშიერი და გასაცოდავებული ხალხის ხარჯზე გასწიოთ ეკონომია.

ეკონომიის ყველაზე თვალსჩინო მაგალითი თბილისის მეტროპოლიტენია, სადაც დღის საათებში მატარებლების მოძრაობას შორის ინტერვალი 5-8 წუთს გრძელდება, ხოლო საღამოს საათებში ეს ინტერვალი 20-25 წუთამდე იზრდება. აღარაფერს ვამბობ პიკის საათებზე, როცა თავიც რომ გაიმეტო, მეტროს ვაგონში შეღწევა თითქმის შეუძლებელია. გათვლა მარტივია, ნაკლები მატარებელი ნაკლებ ხარჯს ნიშნავს, ხოლო მეტროთი მოსარგებლე მგზავრები ვაგონში გაიჭყლიტებიან, უჰაერობისგან გული წაუვათ თუ სხვა რამე დაემართებათ, მერიას ნაკლებად აღელვებს. მთავარია რომ მგზავრმა მეტროში ჩასასვლელი 50 თეთრი უკვე გადაიხადა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ყვითელ ავტობუსებშია, სადაც ზაფხულის სეზონზე, ასვლას სუსტი ჯანმრთელობის მქონე ადამიანი უნდა მოერიდოს. განსაკუთრებით კი ისინი ვისაც მაღალი წნევა ან გულსისხლძარღვთა დაავადებები აწუხებს. არ ვიცი მეჩვენება თუ არა, მაგრამ ვფიქრობ რომ ზაფხულის დადგომასთან ერთად, დედაქალაქში ავტობუსების რაოდენობამ იკლო. ამ კლებას სხვით ვერაფრით ავხსნი, თუ არა და ისევ ეკონომიით. ბატონო მერო, ჩემი რჩევაა საღამოს 6 საათის მერე მიბრძანდით კოლმეურნეობის მოედანზე, კონკასთან არსებულ ავტობუსების გაჩერებაზე. რაც იქ ხდება მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე ბანანის რესპუბლიკაში შეიძლება მოხდეს სადაც ხალხი მატარებლის ან ავტობუსების სახურავებზე მსხდომები მგზავრობენ. სიცხეში დგომისგან გათანგული ხალხი დიდი ხნის ლოდინის შემდეგ თავისი ავტობუსის დანახვისას მისკენ მარათონული სისწრაფით გარბის, ავტობუსი კი როგორც წესი ერთ განსაზღვრულ ადგილას არ ჩერდება და ხალხიც სანამ გაჩერდება შეჯგუფებული მისდევს მძღოლის მიმართ არცთუ სასიამოვნოდ მოსასმენი რეპლიკების თანხლებით. მთავარი კი ავტობუსის გაჩერების შემდეგ იწყება. აქ არავითარი აზრი არა აქვს ადამიანის მიერ შინაგანი კულტურის გამოვლენას, რადგან ავტობუსში რომ დასაჯდომი ადგილი მოიპოვო, მინიმუმ მკვირცხლი ფეხები, მაქსიმუმ კი მკვირცხლ ფეხებთან ერთად ძლიერი მკლავიც უნდა გქონდეს, რომ ტრანსპორტს მისეული ლოდინით და სიცხით გათანგული ხალხი მუჯლუგუნებით მისწი-მოსწიო და ავტობუსში ადგილი გაინაღდო. ხოლო ის, ვისაც მკლავის ძალა და ფეხების სიმკვირცხლე უჭირს, იძულებულია ცალ ფეხზე მდგარი ან ცალ ხელზე დაკიდებული მივიდეს თავის სახლამდე. მთავარია ფული გადაიხადოს. არაფერს ვამბობ უჰაერობაზე და სუნზე, რომელიც განსაკუთრებით ზაფხულში, ყველა ავტობუსის თანმდევი ატრიბუტი ხდება. ცალკე აღნიშვნის ღირსია კონტროლიორთა ნაწილის კულტურა, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ერთი სიტყვით, ბატონო მერო და მერიის წარმომადგენლებო, ტელეკამერის წინ მოხუცის საავადმყოფოში მიყვანა და ლამის ოპერაციის პროცესზე ქირურგის ასისტენტად დასწრება კი არაა ხალხზე ზრუნვა, არამედ ის რომ იმ მოხუც ქალბატონს, ოპერაციას რომ ეღირსოს მერის თანხლება არ უნდა სჭირდებოდეს და თანაქალაქელებს მერი, მინიმუმ როგორც ადამიანებს ისე უნდა უყურებდეს და არა როგორც გადასახადის გადამხდელ არსებებს.

წაკითხული მაქვს გასული საუკუნის 37-იანი წლების ამბები, როცა რეპრესირებული ადამიანები ე.წ. „სტოლიპინის“ ვაგონებით გადაჰყავდათ. გარდა გასავლელი მანძილის სიშორისა, იმ ვაგონებსა და დღევანდელ საქალაქო ტრანსპორტს შორის არავითარი განსხვავება არ არის, ხალხი კი მაშინაც სტატისტიკური ანგარიშის ობიექტს წარმოადგენდა და დღესაც ანალოგიური დანიშნულება აქვს.

**ალეკო ჩუბინიძის ბლოგი:** http://alenewspress.wordpress.com

## 18 ივლისიდან სინოპტიკოსები ამინდის გაუარესებას ვარაუდობენ

მომდევნო ერთ კვირის განმავლობაში სინოპტიკოსები მთელი ქვეყნის მასშტაბით არამდგრად ამინდებსა და ნალექიანობის მომატებას ვარაუდობენ.

როგორც ,,მედიანიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, კვირის დასაწყისში ნალექი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რეგიონებშია მოსალოდნელი. ტემპერატურა კი მთელი ქვეყნის მასშტაბით 35-36 გრადუსამდე აიწევს.

18 ივლისიდან კი სინოპტიკოსები ამინდის გაუარესებასა და ტემპერატურის 3 გრადუსით დაკლებას ვარაუდოებენ. ძლიერი ნალექი უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოშია მოსალოდნელი. დასავლეთ საქართველოში კი ხანმოკლე წვიმები იქნება.

ნალექის ინტენსივობა 20 ივლისიდან დაიკლებს, თუმცა არამდგრადი ამინდები 22 ივლისამდე შენარჩუნდება.

სინოპტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში წვიმას თან ახლდეს სეტყვა, ჭექა-ქუხილი და ქარის მომენტალური გაძლიერება.

ქვეყანაში არამდგრად ამინდებს სამხრეთიდან შემოსული თბილი და შავი ზღვის ჩრდილოეთიდან შემოსული ცივი და ნოტიო ჰაერის მასების თანხვედრა განაპირობებს, რომელიც უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოზე ახდენს გავლენას.

**მედიანიუსი**

## ბაგებში მეწყერმა სამი ოჯახი დააზარალა

თბილისის ბაგების დასახლებაში, უჩანეიშვილის ქუჩაზე, ძლიერი წვიმის შედეგად მოვარდნილმა წყალმა სამი ოჯახი დააზარალა. წვიმის გამო სახლების უკან არსებული მიწის ნაკვეთის ჩამოშლა გამოიწვია, წყალმა კი ქვიშა სახლებში ჩაიტანა.

როგორც ,,მედიანიუსს“ თბილისის მერიაში განუცხადეს, სტიქიას მოსახლეობისათვის სერიოზული ზარალი არ მიუყენებია. უჩანეიშვილის ქუჩაზე შესაბამისი ტექნიკა დილიდან მუშაობდა და ყველა პრობლემა აღმოფხვრილია.

**მედიანიუსი**

## თემქაზე სამარშრუტო მიკროავტობუსი ხეს შეეჯახა

გუშინ თბილისში, თემქის 11-ე მიკრორაიონში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. სამარშრუტო მიკროავტობუსი ხეს შეეჯახა.

თვითმხილველების თქმით, მიკროავტობუსის წინ ბავშვმა გადაირბინა და ავარიის მიზეზიც სწორედ ეს გახდა. შემთხვევის შედეგად ექვსი ადამიანი დაშავდა, მათ შორის მძღოლიც. დაშავებულები საავადმყოფოებში გადაიყვანეს. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

,,ადგილზე მოსვლისას დაგვხვდა ხეს შეჯახებული სამგზავრო მიკროავტობუსი. მეხანძრე–მაშველების დახმარებით გადმოვიყვანეთ დაშავებულები. გადაყვანილნი არიან საავადმყოფოში“, – განაცხადა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომელმა ლევან ედიშერაშვილმა.

ოფიციალური ცნობით, დაშავებულების მკურნალობის ხარჯებს, მთლიანად კომპანია ,,თბილისის მიკროავტობუსი“ დაფარავს.

**მედიანიუსი**

# ნაციონალების მაჟორიტარობის კანდიდატი ყაზბეგში გოჩა მალანია იქნება

წელს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში, ყაზბეგში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე გოჩა მალანია იქნება.

გოჩა მალანია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან რამდენიმე დღის წინ გადადგა.

„გოჩა მალანია იქნება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ყაზბეგში. კანონით, მას თანამდებობა უნდა დაეტოვებინა და დატოვა კიდეც“, – განუცხადა მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს რეგიონის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ გივი ამირხანაშვილმა.



გოჩა მალანია დაიბადა ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონში 1952 წლის 7თებერვალს. 1969 წელს დაამთავრა სოფელ სიონის საშუალო სკოლა. დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სპეციალობით საქონელმცოდნეა. 1979 წელს რიგით ეკონომისტად მუშაობდა „საქმშენმომარაგება-გასაღების“ სამმართველოში; 1983 წელს ამავე სამმართველოში მთავარ სპეციალისტად ცემენტის მიწოდების განყოფილებაში; 1985 წელს დაინიშნა „საქმშენელექტრომომარაგება – გასაღების“ რესპუბლიკურ გაერთიანებაში ცემენტის მიწოდების განყოფილების უფროსად; 1986 წელს დაინიშნა ამავე გაერთიანების მმართველის მოადგილედ, სადაც 2002 წლამდე მუშაობდა. 2003 წლიდან 2008 წლამდე დაკავებული იყო კერძო ბიზნესით; 2008 წლის 19 სექტემბერს დაინიშნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ; 2009 წლის 20 იანვარს დაინიშნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლად. 2010 წლის 17 ივნისიდან 2012 წლის 14 ივლისამდე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარედ მუშაობდა. გოჩა მალანია დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი.

შეგახსენებთ, რომ გუშინ თანამდებობიდან გაათავისუფლეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვიქტორ სუჯაშვილი. გამგებლად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ღუდუშაური დაინიშნა.

ცნობილია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ყაზბეგში ექიმი მირიან წიკლაური იქნება.

**მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

# მგლებმა კახეთში ცხვრის ფარა გაანადგურეს

მგლების მორიგი თავდასხმა ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოში გუშინწინ ღამით მოხდა.

მგლებმა მინდორაშვილების ფარადან 17 ცხვარი დაკბინეს.

მოსახლეობა მგლების თავდასხმის გახშირებულ შემთხვევებზე საუბრობს და თავის დასაცავად დახმარებას ხელისუფლებას სთხოვს.

მათი თქმით, მგლები უკვე დასახლებული ტერიტორიის მახლობლად არიან, რის გამოც მათ გარეთ ბავშვების გაშვება ეშინიათ.

**ნიუსპრესი**



# თუშეთი ნაგავს მიაქვს

## ჩინოსნების ნასუფრალის ალაგება მოსახლეობას უწევს

თეა მარხვაიძე

**ხელისუფლების წარმომადგენლებმა სერიოზულად დააპიარეს თუშეთობა, რომელიც მიმდინარე წლის 7–8 ივლისს გაიმართა. ამ ღონისძიებაზე დასასწრებად საკმაოდ ბევრი სტუმარი ჩავიდა. თუმცა არა იმდენი, რამდენსაც ელოდნენ. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო უცხოელი ტურისტების ნაკლებობა.**

თუშეთობამ, ადგილობრივების თქმით, კარგად ჩაიარა. იყო კონცერტი და ჭამა-სმა დიდად შესარგი. განსაკუთრებით კარგად ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოილხინეს. დღეობაზე მასპინძლებმაც კარგად გაატარეს დრო. მაგრამ დამთავრდა თუშეთობა და დაიწყო პრობლემები.

ადგილობრივი მოსახლეობა იმის მაგივრად, რომ მშვენიერი ბუნებით დატკბეს, იძულებულია იქაურობა ნაგვისგან გაწმინდოს. ამ მხრივ განსაკუთრებით სოფელ ომალოს მოსახლეობას არ გაუმართლა. თუშეთობა სწორედ აქ აღნიშნეს. როგორც თავში უკვე აღვნიშნეთ, ღონისძიებას ღვინისძიება მოჰყვა. ჩასულმა სტუმრებმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვარიანად მოილხინეს. მერე ნაქეიფრებმა იქაურობა



დატოვეს. ნასუფრალის ალაგებისგან თავი არავის შეუწუხებია და ახლა ომალოში ნაგვის გორები დგას. ადგილობრივები რამდენიმე დღის განმავლობაში ელოდნენ, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტიდან ამოვიდოდნენ და დაალაგებდნენ თავიანთ არეულს. მოთმინებით ელოდნენ, თუმცა, ამაოდ.

ახმეტის მუნიციპალიტეტს თუშეთი აღარც გახსენებია. ადგილობრივები იძულებული გახდნენ, საკუთარი ძალებით დაეწყოთ იქაურობის დასუფთავება. მით უმეტეს, რომ ამ კვირაში იქ რელიგიური დღესასწაულები იწყება და ასეთ დროს თუშებს სოფლები დაკრიალებული აქვთ ხოლმე.

– უკვე სამი წელია ასე გვიწევს სხვების ნასუფრალის დალაგება. ყველაფერს აქვს საზღვარი. სოფელში ნაგვის გორები დგას. ღმერთმა შეარგოს, რაც იქეიფეს, მაგრამ ამ ყველაფერს ხომ ალაგება უნდოდა, – განუცხადეს „ახალ თაობას“ ომალოს მცხოვრებლებმა.

მათი ინფორმაციით, აქ უცხოელი ტურისტებიც ხშირად აწყობენ პიკნიკებს. თუმცა ისინი საკუთარ ნაგავს არ ტოვებენ.

– ამბობენ, რომ ევროპის და დასავლეთის გზას ვადგავართ. ძალიან კარგია და რახან ამ გზაზე ვდგავართ, მაშინ თავადაც ისე მოიქცნენ, როგორც ევროპელები. აქ ბევრი უცხოელი ტურისტი ამოდის. პიკნიკებსაც აწყობენ, მაგრამ ნაგავს არ ყრიან. აგროვებენ და ნაგავსაყრელზე მიაქვთ, – აცხადებენ ადგილობრივები.

ჩინოსნების ნასუფრალის ალაგების გარდა, აქაურებს სხვა პრობლემებიც შეექმნათ. გასულ წელს ხელისუფლება ამ რეგიონის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. წელს თუშეთისთვის აღარ სცალიათ. წინ არჩევნებია. საარჩევნოდ აქ ბევრი ხალხი არ იქნება და რა ძალა ადგათ, აუტკივარი თავი აიტკივონ.

მოგეხსენებათ, რომ თუშეთთან დამაკავშირებელი გზა საკმაოდ რთულია. ის მაისი-ოქტომბრის ჩათვლით ფუნქციონირებს მარტო. წელს გზა 15 მაისს გაიხსნა. ადგილობრივების განცხადებით, გზა სავალალო მდგომარეობაშია. სათანადო სამსახურებს გზის გასაწმენდად თავი დიდად არ შეუწუხებიათ. არადა, აქამდე ახმეტის მაჟორიტარი პეტრე ცისკარიშვილი ამ გზის გაწმენდას პირადად კურირებდა. გავრცელებული ინფორმაციით, ის ამ არჩევნებზეც ახმეტაში იყრის კენჭს. ჰოდა, საინტერესოა, რატომ არ დაინტერესდა გზის მდგომარეობით.

გასულ წელს თუშეთში ნამდვილი ტურისტების ბუმი იყო. ტურისტებს კი ჩვენი ხელისუფლება თვალისჩინივით უფრთხილდება. თუ ადგილობრივების უსაფრთხო მგზავრობა არ აწუხებთ, იქნება ტურისტების უსაფრთხოებაზე მაინც იზრუნონ.

რაკი ტურისტებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, უნდა ითქვას, რომ წელს ამ მხრივ საქმე კარგად არ არის. „ახალ თაბასთან“ საუბარში ადგილობრივები ამბობენ, რომ ტურისტების ოდენობამ გასულ წელთან შედარებით მკვეთრად იკლო.

რისი ბრალია უტურისტობა, ამას ადგილობრივები ვერ ხსნიან. ერთ-ერთ მიზეზად უგზოობაც მიაჩნიათ.

ხელისუფლების მტკიცებით კი, წელს საქართველოში შემოსული ტურისტების რიცხვმა მკვეთრად იმატა. თუმცა, გაურკვეველია, სად წავიდნენ ეს ტურისტები. რადგანაც ისინი არც მთაში და არც ბარში არ გამოჩენილან. ვილაცები როგორ არ დადიან, მაგრამ შარშანდელთან შედარებით აშკარად მცირეა მათი რაოდენობა.

# თერგის გადასარჩენად დღეს ყაზბეგში აქცია გაიმართება

თეა მარხვაიძე

გარემოს დამცველებმა ეს ფაქტი არაერთხელ გააპროტესტეს. ხელისუფლებამ მათი პროტესტი დააიგნორა. ყაზბეგში თერგის გამოსამწყვდევი გვირაბის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. ეკოლოგების განცხადებით, „დარიალჰესი“ რაიონს ბევრ პრობლემას შეუქმნის.

ამ მოსაზრებას იზიარებს არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“. მათი ორგანიზებით დღეს ყაზბეგში საპროტესტო აქცია გაიმართება. აქციის ლოზუნგი შემდეგნაირია: „გადავარჩინოთ თერგი და დარიალის ხეობა“.

„მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელთა განცხადებით, ღონისძიების მიზანია, საზოგადოების ინფორმირება დარიალის ჰესის მშენებლობისა და ოპერირების უარყოფით შედეგებზე.

აქციის საშუალებით, „მწვანე ალტერნატივა“ და „სტეფანწმიდა“ ასევე მოუწოდებენ ხელისუფლებას და „დარიალი ენერჯის“, შეაჩერონ დარიალი ჰესის მშენებლობა იმ დრომდე, სანამ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით, დადგინდება მდინარეში დასატოვებელი წყლის ის ოპტიმალური ოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხეობის ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნებას, ისე კულტურულ-ეთნოგრაფიულ და ტურისტულ ფასეულობებზე მინიმალურ ზეგავლენას.

ამ დროს კი დარიალის ხეობაში „დარიალი ჰესის“ მშენებლობა მიმდინარეობს. მდინარე თერგი 8 კილომეტრ სიგრძის მონაკვეთზე სადერივაციო არხსა და გვირაბში უნდა მოაქციონ.

გარემოს დამცველების შეფასებით, ჰესის ამ სახით მშენებლობა და ოპერირება დარიალის ხეობას და მის ეკოსისტემას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს: აბსოლუტურად შეიცვლება დარიალის ხეობის ლანდშაფტი; პროექტს ასევე ექნება ძალზე მნიშვნელოვანი შეუქცევადი ზეგავლენა „წითელ წიგნში“ შეტანილ ნაკადულის კალმახზე და მდინარე თერგში მის გაქრობას გამოიწვევს.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, „დარიალი ჰესის“ მშენებლობის პროექტი ითვალისწინებს მდინარე თერგზე, დარიალის ხეობაში, საქართველო-რუსეთის საზღვართან ახლოს, 110 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას. დარიალი ჰესი ენერ-

**2011 წლის სექტემბერში დარიალის ხეობაში, მდინარე თერგზე, საქართველო-რუსეთის საზღვართან ახლოს, დაიწყო 110 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის _ 90%-ის _ მოქცევას ჯერ სადერივაციო მილსადენში და შემდგომ სადერივაციო გვირაბში.**



გოსისტემას მიუერთდება დარიალის 110 კვ-იანი ხაზით, რომელიც აერთებს საქართველოსა და რუსეთის ენერგო-სისტემებს. პროექტის თანახმად, გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაწილი მოეწოდება საქართველოს ენერგოსისტემას შიდა მოხმარებისთვის, ნაწილი კი უცხოურ ბაზარზე გავა. პროექტს კომპანია „დარიალი ენერჯი“ ახორციელებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ მიაჩნია, რომ „წითელ წიგნში“ შეტანილ სახეობაზე, ნაკადულის კალმახზე, პროექტის ზეგავლენის შესარბილებლად ბსგზშ ანგარიშში შემოთავაზებული ღონისძიება – თევზსავალის მოწყობა – ვერ გააუმჯობესებს ნაკადულის კალმახის ჰაბიტატს.

– ამდენად, ძალზე დიდია ალბათობა იმისა, რომ თერგში ნაკადულის კალმახის პოპულაცია პროექტის განხორციელების დაწყებიდან მოკლე ხანში გაქრება. აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ არც მშენებლობის ეტაპის და არც ექსპლუატაციის ეტაპის მონიტორინგის გეგმებში არ არის გათვალისწინებული იხთიოფაუნის მდგომარეობის მონიტორინგი. ამას მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს – მიუხედავად ე.წ. „მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებისა“, მონიტორინგის ობიექტი და, შესაბამისად, მონიტორინგის საჭიროება, უბრალოდ, აღარ იარსებებს, – განმარტავენ „მწვანე ალტერნატივაში“.

გარემოსდაცვითი ორგანიზაციისთვის ასევე გაუგებარია, რის საფუძველზე იქნა შეფასებული ჰესის ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება ექსპლუატაციის ფაზაზე როგორც „დაბალი“, მაშინ, როდესაც დარიალის ხეობის 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე მდინარე თერგი პრაქტიკულად აღარ იარსებებს. „1.97 მ3/წმ ეკოლოგიური (სანიტარული) ხარჯით ეს იქნება მცირე მდინარე, რომელიც ცივი ზამთრის პირობებში, ძალზე დიდი ალბათობით გაიყინება! გარდა ამისა, სულ 11 კმ სიგრძის დარიალის ხეობის 8 კმიანი მონაკვეთი, სამუდამოდ თუ არა, 50 წელზე მეტი ხნით აბსოლუტურად შეიცვლის იერსახეს. ბსგზშ ანგარიშის ავტორებისთვის, ისევე, როგორც ნებისმიერი განათლებული ქართველისთვის, სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ დარიალის ხეობა სწორედ მდინარე თერგითაა გამორჩეული; სწორედ ეს მდინარე წარმოადგენდა შთაგონების წყაროს ილია ჭავჭავაძისთვის, ალექსანდრე ყაზბეგისთვის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვა ცნობილი მწერლებისა და პოეტებისთვის. სწორედ ეს მდინარე და მისი მიმდებარე ლანდშაფტი იზიდავდა მოგზაურებს და დღემდე იზიდავს ტურისტებს. პროექტის შემოთავაზებული სახით განხორციელების შემთხვევაში, ხეობა დაკარგავს იმ ფასეულობას, რის გამოც ის დღესაც იზიდავს ტურისტებს; ეს კი, შესაბამისად, აისახება ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე (განსაკუთრებით, ადგილობრივ დონეზე)“, – განაცხადეს „მწვანე ალტერნატივაში“.

# რეზო ჭეიშვილი ლიტერატურაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი

ქართველი მწერალი, მკითხველისთვის არაერთი საყვარელი ნაწარმოების ავტორი რეზო ჭეიშვილი ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დააჯილდოვეს. მწერალს საპატიო ჯილდო თიბისი ბანკის ხელმძღვანელმა მამუკა ხაზარაძემ პირადად გადასცა. ეს ჯილდო ყველა მწერლისა და პოეტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის სწორედ მათი ღვაწლის განსაკუთრებულად დაფასებას ნიშნავს. რეზო ჭეიშვილამდე ამ ჯილდოს მფლობელები გახდნენ ჭაბუა ამირეჯიბი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ანა კალანდაძე, ოთარ ჩხეიძე, გურამ დოჩანაშვილი და სხვა ცნობილი შემოქმედები.

რუსთაველის თეატრში გამართული საიუბილეო, რიგით მეათე ლიტერატურული პრემია „საბას“ დაჯილდოების ცერემონიალი ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ლიტერატურული პრემიის დასკვნითი ეტაპი პირველად ჩატარდა თიბისი ბანკის სათაო ოფისის ტერიტორიის გარეთ და ისიც რუსთაველის თეატრში. როგორც ორგანიზატორებმა განმარტეს, მათ თავიდან აიცილეს არამდგრადი ამინდის გამო გამოწვეული უსიამოვნო ლა გაუთავალისწინებელი მომენტები. სწორედ ამის გამო, მწერლებისა და პოეტებისთვის „საბას“ გადაცემის ცერემონიალი რამდენიმე დღითაც გადაიდო.

მეათე „საბას“ პოეტი რატი ამაღლობელი და რუსთაველის თეატრის მსახიობი ნინო კასრაძე უძღვებოდნენ. მათ შეაჯამეს და თეატრში შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინეს ის შედეგები, რაც ლიტერატურულმა პრემიამ არსებობის 10 წლის განმავლობაში მიიღო. ათი წლის განმავლობაში „საბამ“ 1504 წიგნი განიხილა და მთლიანობაში 74 პრემია გასცა 62 ავტორზე. ჟიურის შემადგენლობაში, კი რომლის ვინაობაც ყოველთვის დაჯილდოების ცერემონიალზე ხდება ხოლმე ცნობილი, 42 ადამიანი გააერთიანა.



საიუბილეო დაჯილდოების ცერემონიალზე ცნობილი გახდა, რომ უახლოეს მომავალში ლიტერატურული პრემია ელექტრონულ სივრცეში გადაინაცვლებს. ერთ თვეში გაიხსნება სპეციალური საიტი – საბა. ჯი, სადაც ყველა უკვე ნომინირებული და ახალი კანდიდატებიც აიტვირთება და მათ გაცნობას ჟიურისთან ერთად უკვე მკითხველიც შეძლებს.

რაც შეეხება წლევანდელ ჟიურის, მის შემადგენლობაში იყვნენ ზურაბ კიკნაძე, გიგა ზედანია, თეონა დოლენჯაშვილი, ანდრო ბუაჩიძე და ბიძინა მაყაშვილი. რუსთაველის თეატრში შეკრებილი მსმენელის განწყობის ასამაღლებლად კი სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ანა ბანელები, ნინო ქათამაძე, ნიაზ დიასამიძე, გიორგ იუშიკიშვილი და ანსამბლი „ლაშარი“, მომღერლებს აკომპანიმენტს თბილისის ბიგ ბენდი უწევდა.

წელს ჟიურიმ 2011 წლის საუკეთესო წიგნები და ავტორები 9 ნომინაციის მიხედვით გამოავლინა – წლის საუკეთესო პროზაული კრებული, წლის საუკეთესო რომანი, წლის საუკეთესო პოეტური კრებული, წლის საუკეთესო დებიუტი, წლის საუკეთესო თარგმანი, წლის საუკეთესო პიესა, წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა, წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა და წელსაც დაჯილდოვდა პიროვნება, რომელმაც „საბა“ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიიღო. წლევანდელი კონკურსის ფინალურ ეტაპზე 188 წიგნიდან 42 ფინალისტი შეირჩა. საპრემიო ფონდი წელს 40.000 ლარს შეადგენდა, რომელიც გამარჯვებულ ავტორებს თიბისი ბანკმა გადასცა.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს დააფუძნა თიბისი ბანკმა,

პენ-ცენტრმა და რუსთავი 2-მა. პრემიის მიზანია წლის საუკეთესო წიგნების გამოვლენა. პრემიაზე განიხილება საქართველოში წინა წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები და უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი.

ნომინაციებში გამარჯვებულები თავად ჟიურის წევრებმა დაასახელეს. ნიმინაცია წლის საუკეთესო დებიუტი ორ ახალგაზრდა მწერალზე გაიყო – „საბა გადაეცათ ეკატერინე ტოგონიძეს კრებულისთვის „ანესთეზია“ და სალომე ბინიძეს წიგნისთვის „მოხსენებითი ბარათი“. ნომინაციაში წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა გამარჯვებულად დასახელდა ლევან ბრეგაძე ნაშრომით „ლიტერატურული (გამო)ძიებანი“. ნომიანციაში წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა გაიმარჯვა გიორგი მაისურაძემ „ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები“. ნომინაციაში წლის საუკეთესო თარგმანი „საბა“ მოიპოვა დავით წერედიანმა ნამუშევრისთვის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ფაუსტი“. ნომინაციაში წლის საუკეთესო პროზაული კრებული გამარჯვებულად დასახელდა ბესო ხვედელიძე ნაშრომით „წითელი“. ნომინაციაში წლის საუკეთესო პიესა გაიმარჯვა ლაშა ბუღაძემ და მისმა „ნავიტაგორმა“. ნომინაციაში წლის საუკეთესო პოეტური კრებული ჟიურის რჩეული გახდა პაატა შამუგიას „დაუჯდომელი“. ნომინაციაში წლის საუკეთესო რომანი გამარჯვება მოიპოვა აკა მორჩილაძემ რომანით „ობოლე“.

„საბას“ ორგანიზატორებს საჩუქრების გარეშე არც მისი ერთგული გულშემატკივრები პოეტი რატი ამაღლობელი და თიბისი ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი მაია ძირკველიშვილი დაუტოვებიათ. მათ მამუკა ხაზარაძემ სამახსოვრო საჩუქრები და სიგელები გადასცა.

# ნიკოლოზ რურუა მარტვილში ჩავიდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა აგრძელებს საქართველოს რეგიონებში ვიზიტებს. ქუთაისის, თელავის, ბათუმისა და ზუგდიდის შემდეგ ნიკოლოზ რურუა ამჯერად უკვე მარტვილში ჩავიდა და ტრადიციულად იქ არსებული კულტურული დაწესებულებებისთვის ყველაზე საჭირო ნივთები და ტექნიკა ჩაიტანა.



კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას არსებული თანამშრომლობის ნიშნად გადასცა 53 დასახელების წიგნი ფონდს – 106 ცალი, კომპიუტერის კომპლექტი – 3 ცალი და საოფისე კომბინირებული მოწყობილობა – 3 ცალი, მათ შორის პრინტერი, სკანერი და ასლგადამღები. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ნიკოლოზ რურუა კულტურის სფეროს წარმომადგენლებსაც შეხვდა. კულტურის მინისტრი ადგილობრივ მოსახლეობას სამუშაო ადგილების გაზრდასა და რაიონში არსებულ პრობლემებზე გაესაუბრა და შეკრებილ საზოგადოებას გააცნო, რომ მისი ინიციატივით, პირველი აგვისტოდან, მარტვილის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლის ოცდაათივე პედაგოგი ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს მიიღებს.

კულტურის მინისტრმა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „კოლხიდა“ ეროვნული სასცენო სამოსი ჩაუტანა და 32-ვე წევრს გადასცა, როგორც ბოლო ვიზიტის დროს, 27 აპრილს, ამავე მუზეუმში დაჰპირდა.

– რამდენიმე თვის წინ ვიმყოფებოდი სამეგრელოში და მაშინ გავეცანი აქ არსებულ პრობლემებს. ახლა კი ჩამოვედი და ჩამოვიტანე კონკრეტულად ის ტექნიკა თუ წიგნები, რაც მარტვილისთვის არის საჭირო და აუცილებელი. პირობა არ დამვიწყებია და ქორეოგრაფიულ ანსამბლს „კოლხიდა“ ჩამოვუტანე სასცენო სამოსი. ეს კოსტიუმები იმ ადამიანების მიერ იკერება, ვინც გამოთქვა სურვილი, ქართული ჩოხის გადასარჩენად გამოცხადებულ პროექტში ჩართულიყო. მათ ჩოხის კერვას ნამდვილი პროფესიონალები ასწავლიან, რომ წლების შემდეგ ქართული ეროვნული სამოსის მკერავები ისევ გვყავდეს. ეს არ არის დასასრული, საქართველოს რეგიონებში ვიზიტს ეტაპობრივად დავგეგმავთ და მივალთ ყველგან, სადაც ჩვენი მისვლა აუცილებელია, – განმარტა კულტურის მინისტრმა.

მარტვილამდე კი ნიკოლოზ რურუა ზუგდიდში იმყოფებოდა. ძეგლთა დაცვისა და კულტურის მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ზუგდიდში დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის რესტავრირებული ნაწილის დათვალიერებით და მუზეუმის თანამშრომლებთან შეხვედრით დაიწყო. ნიკოლოზ რურუამ დადიანების მუზეუმს პროექტორი, ეკრანი და პორტატული კომპიუტერი გადასცა.

კულტურის მინისტრმა ზუგდიდში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმა შეხვედრა ზუგდიდის კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან და ოთხ პედაგოგს „დამსახურებული პედაგოგის“ წოდება მიანიჭა. შეხვედრა და დაჯილდოების ცერემონიალი შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში შედგა. ღონისძიებები ზუგდიდში ჯეოსტარელების კონცერტმა დაასრულა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ნოდიკო ტატიშვილმა, სალომე ბაკურაძემ, გიორგი სუხიტაშვილმა, თიკა მახალდიანმა, ბორის ბედიამ და ელენე ფოჩხუამ. მომღერლებმა შეკრებილი მსმენელისთვის საკუთარი რეპერტუარიდან ყველაზე ცნობილი სიმღერები შეასრულეს.

# ეროვნული არქივის თანამშრომლები პოლონეთში გაემგზავრნენ

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის წარმომადგენლები პოლონეთის სახელმწიფო არქივს ეწვივნენ დოკუმენტების დიგიტალიზაციისა და ელექტრონული არქივების სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა დელეგაციის წევრების მიერ დიგიტალიზაციის პრინციპების, ფოტო დოკუმენტების დიგიტალიზაციის, ასევე, ელექტრონული ჩანაწერების არქივებისა და ინტეგრირებული საარქივო საინფორმაციო სისტემის მუშაობის სტანდარტების გაცნობა.

– აღსანიშნავია, რომ დიგიტალიზაციის სფეროში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თანამშრომლობაზე ეროვნული არქივისა და პოლონეთის სახელმწიფო არქივების ხელმძღვანელები რამდენიმე თვის წინ ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის თეონა იაშვილის ვარშავაში ვიზიტისას შეთანხმდნენ. თუმცა ეს დასასრული არ არის, ეროვნული არქივის ხელმძღვანელი თეონა იაშვილი კვლავაც აგრძელებს თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებას ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული არქივების ხელმძღვანელებთან. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივსა და იტალიის რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს არქივების გენერალურ დირექტორატს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა და იტალიის არქივების გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელმა როსანა რუმომ. დოკუმენტი ითვალისწინებს

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## უფყნ[ფლბ,ბ,ბ

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჯჰბრდბპბნბ,ბ5
ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohfab
uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2
cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8
~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC
LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB
BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

# შენგელიამ ბრუკლინში საუკეთესო მატჩი ჩაატარა



თორნიკე შენგელიამ ორლანდოს საზაფხულო ლიგა მაჟორულ ნოტაზე დაასრულა. 20 წლის ქართველმა ფორვარდმა თანაგუნდელ მარშონ ბრუკსთან ერთად „ბრუკლინ ნეთსის" პირველ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. ბრუკსი გუნდის უპირობო ლიდერი იყო და შეხვედრა 34 ქულით დაასრულა, რაც ორლანდოს ლიგის რეკორდია, ხოლო შენგელია 16 ქულით ბრუკლინელთა შემადგენლობაში მეორე ბომბარდირი გახდა.

მხოლოდ ქულა არაა საქმე და ეს ამერიკელებმაც კარგად იციან. გარდა 16 ქულისა, შენგელიას 3 დაფარება და 4 ჩაჭრა ჰქონდა და ამ ყველაფრის მოგროვება მან 20 წუთში მოასწრო. შენგელია სათადარიგო იყო და თამაშში ძალიან შედეგიანად ჩაერთო. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო საზაფხულო ლიგაზე მისი საუკეთესო მატჩი. თორნიკემ თამაშიდან განხორციელებული 10 სროლიდან 6 ჩააგდო, რასაც 5-დან 4 ზუსტი საჯარიმოც მოაყოლა. ქართველმა ფორვარდმა 9-დან 6 ორქულიანი ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა.

საზაფხულო ლიგის ოფიციალურ ვებ გვერდზე ამ მატჩს მცირე განხილვა დაეთმო და იქ ბრუკსის გენიალური თამაშის შემდეგ გამორჩეულად იყო აღნიშნული შენგელიას კარგი გარჯის შესახებ. მატჩის შემდეგ მარშონ ბრუკსს ინტერვიუ ჩამოართვეს, სადაც მას ცალკე კითხვა შენგელიას შესახებ დაუსვეს:

– მე მომწონს თოკოსთან თამაში, ის მოედანზე გუნდურად აზროვნებს. ის ძალიან კარგი კალათბურთელია და მჯერა, რომ ნბა-ში თავს დაიმკვიდრებს. მას საამისოდ ყველა შესაძლებლობა გააჩნია, – აღნიშნა ბრუკსმა.

ბრუკლინელებმა თავიანთი პირველი მატჩი „ინდიანასთან" დამაჯერებლად – 90:77 მოიგეს, რითაც დაასრულეს ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე გამოსვლა. ქართველი კალათბურთელის მონაგარი კი მატჩების მიხედვით ასეთია: ორლანდოსთან 2 ქულა, ბოსტონთან – 8, ფილადელფიასთან – 17, ოკლაჰომასთან – 8 და ინდიანასთან – 16.

სრული სტატისტიკა კი ასე გამოიყურება: 5 მატჩი, 21.2 წუთი, 10.2 ქულა, 3.6 მოხსნა, 0.8 პასი, 1 ჩაჭრა, თამაშიდან გდების 52.9 პროცენტი.

ამ მაჩვენებლებით შენგელია მთელს კემპზე, 114 მონაწილეს შორის, 25-ე იყო. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შენგელიას მის წინ მყოფ ყველა კალათბურთელზე უკეთესი თამაშიდან სროლების პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა (52.9). ბრუკლინურ გუნდში ქართველ კალათბურთელზე უკეთესი სტატისტიკა მხოლოდ მარშონ ბრუკსს და ალ ტორნტონს ჰქონდათ, რომლებსაც „ნეთსთან" კონტრაქტი ისედაც აკავშირებთ და საზაფხულო ლიგაში ოსტატობის ასამაღლებლად და ახალბედების ასათამაშებლად იმყოფებოდნენ.

მაშ ასე, ახლა იწყება მთავარი: „ბრუკლინ ნეთსის" ხელმძღვანელობა ჯეროვნად გააანალიზებს ორლანდოში თავისი გუნდის უკონტრაქტო წევრთა შესაძლებლობებს და გადაწყვეტს, ვინ აიყვანოს გუნდში და ვინ – არა.

# 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველომ ყველა მატჩი წააგო

**საქართველო _ თურქეთი 67:103**

**(16:25; 22:16; 12:26; 17:36)**

**საქართველო:** ფხაკაძე (2ქ,5პ.), სანაძე (25ქ), ბოქოლიშვილი (4ქ), ალხანაიძე (12ქ), ბურჯანაძე (12ქ,7მ), თენიეშვილი (10ქ), როგავა (2ქ), ლომინაშვილი, ტეტელაშვილი

**თურქეთი:** სონსირმა (5ქ), ედგე (12ქ), დოკუანი (7ქ,6მ), გეიკი (8ქ), თეკინი (12ქ,7მ), კადანი (36ქ,10მ), ეროღლუ (6ქ), ტანცერი (3ქ), კანტიტიცი (6ქ,6მ), კალბანი (6ქ), კიცილკა (2ქ)

დავით უსტიაშვილის გუნდის მეორე მეტოქე თურქეთი იყო, რომელთანაც საქართველოს ნაკრებმა პირველი ტაიმი ღირსეულად ითამაშა და დიდი



შესვენებისთვის წარმატების რეალურ შანსს ინარჩუნებდა. 2 მეოთხედის შემდეგ თურქეთი 41:38 იგებდა, თუმცა მეორე ნახევარში ქართველებისთვის ყველაფერი თავდაყირა დადგა. თავიდან მივყვეთ...

ქართველებს თამაში ცუდად არ დაუწყიათ. მატჩის საწყისი 5 წუთი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა შემდეგ თურქებმა იძალეს და პირველი მეოთხედი 25:16 მოიგეს. მეორე პერიოდიდან ჩვენებმა თამაში გამოასწორეს. გამოსარჩევია ბექა ბურჯანაძე, რომელმაც 3-წუთიან მონაკვეთში 7 ქულა ჩააგდო (2 ორქულიანი და 1 სამიანი), რასაც ნოდარ თენიეშვილის სამიანიც მოჰყვა და საქართველოს ნაკრებმა ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირა – 26:31.

აქ ისევ ის სცენა გათამაშდა, რაც პირველ მეოთხედში. ათწუთეულის მეორე ნახევარში კვლავ თურქები გააქტიურდნენ და უპირატესობა 10 ქულამდე გაზარდეს – 36:26. აღსანიშნავია, რომ ამ ეპიზოდისთვის ქართველები გაცილებით ზუსტად ესროდნენ თამაშიდან. 52,2 % 30,6 %-ის წინააღმდეგ. საქმე ისაა, რომ თურქები ფარქვეშ გვჯაბნიდნენ და აცილებულ ბურთებს ხსნიდნენ, რაც მათ განმეორებითი შეტევის შანსს აძლევდა. თურქები მოხსნებში 25:10 გვიგებდნენ.

თუმცა პირველი ტაიმის დასკვნით წუთებში ქართველებმა იყოჩაღეს და ჩამორჩენა აღმოფხვრეს. ჯერ დუდამ ორქულიანი ჩააგდო, შემდეგ თენიეშვილმა კვლავ სამიანი მიითვალა, ხოლო მალე მოედანზე ირაკლი ალხანაიძე გამოვიდა, რომელმაც ზედიზედ 5 ქულა მიითვალა. ჩვენებს მერაბ ბოქოლიშვილმაც შეაშველა ხელი და ტაიმის დასრულებამდე 17 წამით ადრე ქართველებმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს – 38:39. დარჩენილ დროში თურქებმა 2 საჯარიმო ჩააგდეს და დიდ შესვენებაზე ქართველები 3-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ – 38:41.

შეხვედრა ჩვენი მეტოქის უპირატესობით განახლდა. თურქებმა – სამეტ გეიკმა და საფაკ ედჯიმ მიზანი გაისწორეს და 3-წუთიანი მონაკვეთი 13:2 მოიგეს. მესამე მეოთხედის დასრულებამდე 6 წუთით ადრე თურქები უკვე 15 ქულით იგებდნენ – 55:40. თურქებმა უპირატესობა მესამე ათწუთეულის ბოლომდე შეინარჩუნეს და გადამწყვეტი პერიოდის წინ 67:50 ლიდერობდნენ.

ბოლო მეოთხედში არაფერი შეცვლილა. თურქებმა დაცვაში მარწუხებს კიდევ უფრო მოუჭირეს, ხოლო შეტევაში მათ ბერქაი ჩანდანი სწყალობდათ, რომელიც 36 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. რაც შეეხება ბექა ბურჯანაძეს, მან მატჩის მეორე ტაიმში ქულა ველარ მიითვალა და საბოლოოდ 12 ქულას დასჯერდა. ქართველთაგან კი ყველაზე შედეგიანი დუდა სანაძე გახლდათ 25 ქულით.

**დავით უსტიაშვილი:**

– ძალიან ძლიერ მეტოქეს შევხვდით. თურქებმა ესპანეთთან 19 ქულით წააგეს, მაგრამ სულაც არ ჰყავთ სუსტი გუნდი. მეტოქემ უმთავრესად სიმაღლეში დაგვჯაბნა, რის გამოც წავაგეთ კიდეც. როცა საკუთარ ფარზე 26 ბურთს მოგიხსნიან, წარმატების შანსი ფაქტობრივად არ არსებობს. ჩვენი ბიჭები ყველაფერს აკეთებდნენ, პოზიციურად სწორად მოქმედებდნენ, მეტოქის სროლის დროს მოწინააღმდეგეს კეტავდნენ, მაგრამ სიმაღლეში დიდ სხვაობას ვერაფერს უხერხებდნენ. კი იყო თურქი მეტოქე გადაკეტილი, მაგრამ მას სიმაღლეში იმხელა უპირატესობა ჰქონდა, რომ ბურთს მაინც ხსნიდა. პირველი ტაიმის ბოლო წუთებში კარგად ვითამაშეთ. როცა სიმაღლეში შანსი არ გვქონდა, სწრაფ შეტევებზე და შორს სროლებზე გავაკეთეთ აქცენტი. იმ ეპიზოდში სროლებიც წაგვივიდა და ცოტაც რომ გაგვმართლებოდა, პირველ ტაიმს მოვიგებდით. თუმცა ყველა სროლა არ ჩავარდება და მეორე ტაიმში თურქებმა ისევ და ისევ სიმაღლის ხარჯზე სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს. ბიჭებმა შეცდომებს უხშირეს, მეორე ტაიმში 17 ბურთი დავკარგეთ, მაგრამ ამხელა სხვაობით წაგებას მაინც არ იმსახურებდნენ.

**საქართველო _ ესპანეთი 49:111**

**(13:29, 12:25, 19:32, 5:25)**

**საქართველო:** ფხაკაძე (3ქ), სანაძე (10ქ,5პ), ბოქოლიშვილი (8ქ), ალხანაიძე (6ქ,6მ), ბურჯანაძე (15ქ), ტეტელაშვილი (1ქ), როგავა, ლომინაშვილი (2ქ)

**ესპანეთი:** სანცი (17ქ), დიესი (17ქ), ფერნანდესი (15ქ), ოლაიზოლა (12ქ,6მ), ბარერა (11ქ,8მ), ტომასი (10ქ,9მ), ა.სუარესი (9ქ,7მ), გუერა (8ქ), ორიოლა (7ქ), აბრინესი (3ქ), სერვერა (2ქ)

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მესამე მატჩი ესპანეთთან დიდი სხვაობით დათმო. ჩვენი ჯგუფის ფავორიტმა ბოლომდე ითამაშა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ადგილი განაღდებული ჰქონდა, მაინც არაფერი დათმო და საბოლოოდ 111:49 იმარჯვა.

თამაშის ბედი პირველი ტაიმის შემდეგ გადაწყვეტილი იყო და მოედანზე ესპანელთა სათადარიგოები გამოჩნდნენ, რომლებიც სასტარტოებზე არანაკლებ ყოჩაღად ირჯებოდნენ. საქართველოს ნაკრების აქილევსის ქუსლი სიმაღლეა და ეს ესპანეთთან მატჩში კიდევ უფრო მძაფრად გამოჩნდა. საქართველომ ჯამში 22 მოხსნა მოაგროვა, ესპანეთმა კი – 56.

ერთიც, აქამდე ქართველები იმას მაინც ახერხებდნენ, რომ ერთ მეოთხედში მინიმუმ 10 ქულას აგდებდნენ, ბოლო მეოთხედში კი 5 ქულა ძლივს მოათავსეს კალათში.

ქართველებიდან მხოლოდ 2 მოთამაშემ მიაღწია 10-ქულიან ზღვარს – ბექა ბურჯანაძემ 15, ხოლო დუდა სანაძემ – 10 ქულა მოაგროვა. ესპანელთაგან ვინმეს გამოყოფა რთულია, რადგან 6 კალათბურთელი ათქულიან ზღვარს გადასცდა, ერთს 1 ქულა, ხოლო ერთსაც 2 ქულა დააკლდა ამ ზღვრამდე.

ასე და ამგვარად, ჯგუფური ეტაპი დასრულდა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომლის 4 კალათბურთელი ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული, ძალიან უსახურად გამოვიდა. ასეთი შევსება თუ ელის მთავარ გუნდს, ვერ ვიტყვით, რომ საქმე აწყობილი გვაქვს. პირიქით, მალე ეროვნულ ნაკრებში თაობათა ცვლის გამო, სერიოზულ ჩავარდნას უნდა ველოდოთ.

საქართველო ახლა იმ ჯგუფში იასპარეზებს, სადაც ბოლო ადგილებზე გასული გუნდები მოიყრიან თავს და 13-16 ადგილებს გაითამაშებენ. მომდევნო ჯგუფში დავით უსტიაშვილის გუნდის მეტოქეები იქნებიან ჩერნოგორიის, ესტონეთისა და შვედეთის ნაკრებები. მატჩები დღეიდან გაგრძელდება.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 254:160 | 6 |
| 2.თურქეთი | 3 | 2 | 1 | 227:207 | 5 |
| 3.ლატვია | 3 | 1 | 2 | 200:178 | 4 |
| 4.საქართველო | 3 | 0 | 3 | 166:302 | 3 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ჩისკო: დინამოში ბედნიერი ვარ

საქართველოს ჩემპიონატში მოწვეული ლეგიონერებიდან ყველაზე სახელიანი, რა თქმა უნდა, ესპანელი ჩისკო მუნიოსია – გასული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე და „დინამოს" ლიდერი. ჩისკო ამჟამად თავისი მეორე ქართული სეზონისთვის ემზადება და „დინამოსთან" ერთად სლოვენიურ შეკრებაზე მიემგზავრება.



მისი ინტერვიუ „დინამოს" ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

***– თითქმის წელიწადია, რაც „დინამოს" მაისური მოირგე და საქართველოში თამაშობ, როგორ შეეგუე აქაურობას?***

– პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ხალხს, მათ პირველივე დღიდან ძალიან თბილად მიმიღეს და ბედნიერი ვარ. თბილისს და ახალ გარემოს ადვილად შევეჩვიე. მართალია ქართულსა და ესპანურ ენებს შორის საკმაოდ დიდია სხვაობა, თუმცა ახალი მეგობრების შეძენაში ამ ფაქტს ხელი ნამდვილად არ შეუშლია.

***– „დინამოში" ჩამოსულს გაგიმართლდა თუ არა მოლოდინი?***

– საქართველოს საუკეთესო გუნდის მაისურის მორგებაზე დიდხანს ნამდვილად არ მიფიქრია. „დინამოსთან" ერთად პირველივე სეზონში ევროპულ დონეზე თამაში მსურდა, თუმცა ევროპის ლიგის ფლეი-ოფში არ გაგვიმართლა. სამწუხაროდ, გასული სეზონი ჩაგვივარდა, ახლა კი მომავალი სეზონისთვის ვემზადებით და სასურველი შედეგის ჩვენებას ვეცდებით

***– კარიერის მანძილზე იყო „ვალენსია", „ბეტისი", „ლევანტე"... „დინამოს" ინფრასტრუქტურას როგორ შეადარებდი მათ?***

– ყველა კარგად ხედავს, თუ როგორ შეიცვალა დიღმის ბაზა. ჩემი აქ ჩამოსვლის შემდეგ მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. „დინამოს" ბაზა საუკეთესოა, გადასარევი მოედანი გვაქვს როგორც ბაზაზე სავარჯიშოდ, ასევე – „დინამო არენაზე" სათამაშოდ. კარგი იქნებოდა, თუ კი ამ ყველაფერს კიდევ უფრო მეტი გულშემატკივარი გაალამაზებდა ტრიბუნებიდან. ჩვენი გუნდის ფანებმა, გლადიატორებმა, სეზონის დასრულების შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს და საჩუქარიც გადმომცეს. ამ ფაქტმა კი ძალიან გამახარა და გამამხნევა, იმედი მაქვს, ნაბიჯ-ნაბიჯ, ერთად ვიზეიმებთ გამარჯვებებს.

***– ახალი სეზონის წინ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ვის მიიჩნევ მთავარ კონკურენტად?***

– ჩემი აზრით, გორის „დილა" ძალიან ძლიერი გუნდი იქნება. „ზესტაფონი" კი მოქმედი ჩემპიონია. საერთო ჯამში იოლი თამაშები ნამდვილად არ გველის, თუმცა ყველაფერი უნდა გავილოთ, რათა ჩემპიონები ჩვენ გავხდეთ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი პრეზიდენტი, ბატონი რომან ფიფია, ჩვენზე დიდ იმედებს ამყარებს და მიზნად ჩემპიონობას ვისახავთ. ვიმედოვნებ მისი ნდობა და იმედები გამართლდება და ჩემპიონები სწორედ ჩვენ გავხდებით.

# კაჭარავამ 19-წლამდელთა ნაკრები შეკრიბა

საქართველოს 19-წლამდე ნაკრების (1994-95 წელს დაბადებულები) მთავარმა მწვრთნელმა – კახა კაჭარავამ გუნდი პირველად შეკრიბა. 19-წლამდელები სასტუმრო „ვარაზში" დაბინავდნენ და ყოველდღიურ ვარჯიშებს საგურამოს ბაზაზე ატარებენ. კაჭარავა პირველი ტურნირისთვის ემზადება, რომელიც 20-25 ივლისს მინსკში გაიმართება; სადაც ჩვენი გუნდი ბელორუს და ისრაელელ თანატოლებს ამხანაგურად გაეჯიბრება.

ამჟამად შეკრებაზე 22 ფეხბურთელია, თუმცა არაა გამორიცხული, მთავარმა მწვრთნელმა 2-3 მოთამაშე კიდევ დაიმატოს. მინსკში კი თან მხოლოდ 18 რჩეულს იახლებს.

შეკრებაზე იმყოფებიან: ალექსანდრე ადამია (ოლიმპი), შალვა ექვთიმიშვილი, დაჩი ცნობილაძე (მეტალურგი), ნიკა დიასამიძე, რომან ტაკიძე (დინამო, ბთ), დავით მთივლიშვილი (ლოკომოტივი), ოთარ კაკაბაძე, ნიკა სანდოხაძე, ვაჟა მათიაშვილი, გიგა სამხარაძე (დინამო, თბ), ბაჩო არაბული (საბურთალო), ლევან გეგეჭკორი, პაპუნა ფონიავა (მერანი), ავთო ენდელაძე, ნიკოლოზ ახვლედიანი (ბაია), თემურ მარკოზაშვილი (ტორპედო), გოგი გოგიჩაიშვილი (ჩხერიმელა), ნიკა ნარმანია, გიორგი გადრანი (გაგრა), ნიკა კაჭარავა (ვანდიში, შვეიცარია), დავით უბილავა (ვიტ ჯორჯია), გია ჩადუნელი (კოლხეთი).

# შედეგები

**ფეხბურთი**

**რუსეთი. სუპერთასი**

ზენიტი-რუბინი ........ 0:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

თუნი-ლოზანა ........ 0:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზორია-მეტალურგი(ზ) ........ 2:0
დინამო-მეტალურგი(დ) ........ 1:0
ჩერნომორეცი-გოვერლა ........ 3:2
მეტალისტი-ილიჩევეცი ........ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

სონდერიისკე-რანდერსი ........ 6:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-გეფლე ........ 1:1
მილაბი-სუნდსვალდი ........ 1:0
ატვიდაბერგი-აიკი ........ 2:0
ჰელსინბორგი-სირიანსკა ........ 1:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვალერენგა-მიოლდე ........ 1:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-ტპს ........ 1:3

**აშშ. მლს**

ფილადელფია-მონრეალი ........ 2:1
კოლამბუსი-კანზასი ........ 0:2
ნიუ ინგლენდი-ტორონტო ........ 0:1
ჩიკაგო-ვანკუვერი ........ 1:0
კოლორადო-დალასი ........ 1:2
სან ხოსე-სოლტ ლეიკი ........ 5:0
პორტლენდი-ლოს ანჯელესი ........ 3:5

**ბრაზილია. სერია ა**

კორინთიანსი-ნაუტიკუ ........ 2:1
ფიგეირენსე-ატლეტიკო(მ) ........ 3:4
პონტე პრეტა-კურიტიბა ........ 4:1

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

**კაცები**

ესპანეთი-ტუნისი ........ 95:56
დ.ბრიტანეთი-პორტუგალია ... 83:68

**ეჩ-2013. საკვალიფიკაციო რაუნდი**

**ქალები**

სლოვაკეთი-სლოვენია ........ 93:54
უკრაინა-უნგრეთი ........ 73:66
საბერძნეთი-ლუქსემბურგი ...... 70:62
პოლონეთი-შვეიცარია ........ 64:51
რუმინეთი-ბულგარეთი ...... 75:68(ოტ)
ფინეთი-იტალია ........ 62:82
ესტონეთი-სერბეთი ........ 58:97
გერმანია-შვედეთი ........ 62:73
ბელგია-ჰოლანდია ........ 72:61
ისრაელი-პორტუგალია ........ 58:47

**ამხანაგური მატჩები**

**ქალები**

საფრანგეთი-ანგოლა ........ 79:51
დ.ბრიტანეთი-ავსტრალია ....... 63:87

**ჩოგბურთი**

**ატპ. ნიუპორტი. ბალახი**

ჰიუიტი-რამი ........ 6:4;5:7;6:2
ისნერი-ჰარისონი ........ 7:6;6:3

**ატპ. უმაგი. თიხა**

ვერდასკო-გრანოლერსი .. 2:6;7:6;1:6
ჩილიჩი-დოლგოპოლოვი ........ 7:5;6:2

**ატპ. შტუტგარტი. თიხა**

ტიპსარევიჩი-ბელუჩი ....... 6:4;2;6;6:4
მონაკო-გარსია ლოპესი .. 6:3;3:6;7:5

**ვტა. პალერმო. თიხა**

ზაჰლავოვა-რობსონი ....... 2:6;7:5;6:2
ერანი-ბეგუ ........ 6:4;6:1

**ვტა. სტენფორდი. ჰარდი**

ვიკმაიერი-ვანდევეიე ....... 2:6;6:3;2:6
უილიამსი ს.-კირსტეა ........ 6:1;6:2

# შავი ზღვის ჯაზფესტივალი იწყება

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხოლო ელექტრონული მუსიკის მოყვარულებს ბლექ ეიდ ფისის წევრი ტაბუ შესთავაზებს დიჯეი სეტს. ფესტივალს კი დახურავს ბრაზილიური მუსიკის ცოცხალი ლეგენდა სერჟიო მენდესი. კონცერტები გაიმართება ბათუმის ტენისის კოპრტებზე, ძველ ბულვარში და კლუბ თეიქ ფაივში. ფასიანი კონცერტების გარდა, ჩატარდება უფასო კონცერტებიც, სადაც წარდგება სხვადასხვა ჯგუფი.

ბათუმის შავი ზღვის ჯაზფესტივალამდე კომპანია „ისთერნ პრომოუშენმა" თბილისში ჯაზსერიები გამართა, სადაც ჯაზის მოყვარულებისთვის ნამდვილი დღესასწაული მოაწყო.

– თბილისის ჯაზფესტივალიდან შავი ზღვის ჯაზფესტივალამდე ჩვენ ვცდილობთ, ჯაზის მოყვარულებისთვის დღესასწაულები მოვაწყოთ და სხვადასხვა ჯაზშემსრულებლები საქართველოში მოვიწვიოთ. თბილისის ჯაზსერიებით კომპანია „ისთერნ პრომოუშენმა" გემოვნებიანი მუსიკის მოყვარულებს, ჯაზის ცოცხალი ლეგენდების ნახვის შესაძლებლობა ჯაზფესტივალებამდე ყოველი თვის ბოლოს მისცა. ჩვენ ამ საღამოებს მუსიკალური გემოვნების გაკვეთილებს უწოდებს. ამ პროექტის ფარგლებში პირველი კონცერტი თებერვალში ა კლასის საქსაფონისტმა ჯოშუა რედმანმა, თავის ტრიოსთან ერთად გამართა. მეორე კონცერტი უკვე მარტის თვეში ჩატარდა და ჯაზსერიების ფარგლებში თბილისს კლასიკური პოპის ლეგენდა ჯონ პიზარელი მეგობრებთან ერთად ეწვია. აპრილში კონცერტი ფრედ ვესლიმ ჩაატარა, მაისში კი თბილისში უკვე რობერტ გლასპერი პროექტით „ექსპერიმენტი" ჩამოვიდა, რომელიც ჯაზისა და ჰიპ-ჰოპის ნაზავს წარმოადგენდა. რაც შეეხება უშუალოდ შავი ზღვის ჯაზფესტივალს, ის ბათუმში 17-დან 22 ივლისის ჩათვლით გაიმართება. რიგით მეექვსე ჯაზფესტივალს წელს ისეთი ვარსკვლავები ესტუმრებიან, როგორიც არის ფანკ-ბასის ნათლიმამა ლარი გრეჰემი, ლეგენდარული გიტარისტი ჯონ სკოფილდი, ვირტუოზი პიანისტი ჯოი კალდერაცო, ბექა გოჩიაშვილი თავისი ვარსკვლავური სექსტეტით, მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ბიტბოქსში ბათერსკოჩი. ფესტივალის საჩუქარი ელოდებათ ელექტრონული მუსიკის მოყვარულებს – ცნობილი ჯგუფის „ბლექ აიედ ფის"-ის წევრი ტაბუ დიჯეი სეტს წარმოადგენს, ხოლო ფესტივალს ბრაზილიური მუსიკის ცოცხალი ლეგენდა სერჟიო მენდესი დახურავს. წლევანდელი ჯაზფესტივალი მართლაც გამორჩეულია. ჩვენ ყოველ წელს ვცდილობთ, ჯაზის მოყვარულებს საუკეთესო შემსრულებლები წარვუდგინოთ. წელს ბათუმში მენდესი ჩამოდის, 14 კაციანი ბენდი ჩამოჰყავს თავისი რეპერებით, ვოკალისტებით. საერთოდ ამ ფესტივალზე მოწვეული ყველა შემსრულებელი გამორჩეული და მაგარია, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩვენს მიერ მოწვეული სტუმრები არიან, ვინც ჩამოვა ბათუმში და ამ ფესტივალს პირადად დაესწრება, ისიც ამ აზრზე დარჩება. მენდესი კონცერტს ღია ცის ქვეშ მოაწყობს, ასეთი კონცერტები კიდევ უფრო მაგარია, ამიტომ მგონია, რომ წელს ნამდვილად ყველასგან გამორჩეული ჯაზფესტივალი გვექნება, – განაცხადა კომპანია „ისთერნ პრომოუშენის წარმომადგენელმა კახა კანდელაკმა.



შავი ზღვის ჯაზფესტივალს აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ცნობილი ფაქტია, რომ კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა ჯაზის მოყვარულია.

– ბლექ სი ჯაზფესტივალი უკვე მეექვსე წელია ტარდება ბათუმში და ყოველი წლის შემდეგ ეს ფესტივალი მსოფლიო ფესტივალების რეიტინგში გამორჩეულ ადგილს იკავებს, რაც იმის ნიშანია, რომ ის არის ორგანიზებული ძალიან კარგად. მასზე ჩამოდიან უმაღლესი დონის მუსიკოსები. ინტერესი ჯაზის მიმართ ყოველ წელს იზრდება. ეს არის ის ფაქტორები, რაც განაპირობებენ ნებისმიერი ჯაზფესტივალის წარმატებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ფესტივალი უკვე მსოფლიოს და მით უმეტეს, ჩვენს რეგიონებს შორის ერთ-ერთი ლიდერია. ამ ფესტივალის მაღალი რეიტინგი იმას ნიშნავს, რომ ჯაზისადმი და ზოგადად ხელოვნებისადმი, ინტერესი საქართველოში მატულობს, რაც ძალიან მიხარია, – აღნიშნავს კულტურის მინისტრი.

კომპანია „ისთერნ პრომოუშენი" ერთ-ერთია, რომელიც საქართველოში ჯაზის ნამდვილ ვარსკვლავებს ეპატიჟება. მართალია, მოლაპარაკებების პროცესი საკმაოდ რთული და ხანგრძლივია და ხშირად წარმატებითაც არ სრულდება, მაგრამ მთავარია, რომ კომპანიის წევრები ახერხებენ ქართველ მსმენელს უმაღლესი დონის მუსიკოსები წარუდგინონ.

– ჩვენ გვაქვს პატივი, მოგიწვიოთ რიგით მეექვსე შავი ზღვის ჯაზფესტივალზე ბათუმში, რომელსაც ტრადიციულად კულტურის სამინისტრო, ჩვენს მხარდამჭერ „თიბისი სტატუსთან" ერთად წარმოგიდგენთ. როგორც ყოველთვის, საინტერესოა წლევანდელი პროგრამაც, პირველი ორი დღის განმავლობაში კონცერტებზე დასწრება უფასო იქნება. ისევ გვეყოლება ბენდები, რომლებიც ბათუმის ქუჩებში გაართობენ ხალხს დღის განმავლობაში. ხოლო შემდეგ უკვე ჩატარდება ჯემები. როგორც ყოველთვის ამ ფესტივალის პროგრამაც მრავალფეროვანია. მთავარი სიურპრიზი ის არის, რომ ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამა გვაქვს შერჩეული, თან ყველა ასაკზე და გემოვნებაზე გათვლილი. მგონია, რომ ფესტივალის დანიშნულებაც სწორედ ეს არის – ჩვენ მუსიკალური ინდუსტრიის მრავალფეროვნება უნდა ვაჩვენოთ მაყურებელს. ახალგაზრდა მსმენელის მოსაზიდად კი ერთ-ერთი ყველაზე ძვირიანი დიჯეი გვეყოლება, ეს არის დიჯეი ტაბუ, ჯგუფ „ბლექ აიედ ფისის" წევრი. ის გამართავს დისკოთეკას ფესტივალის ფარგლებში, ამიტომ ყველა ახალგაზრდას ვეპატიჟებით და მჯერა, რომ ეს მათთვის დაუვიწყარი საღამო იქნება, – აცხადებს კომპანიის „ისთერნ პრომოუშენის" დირექტორი მიშა გიორგაძე.

„თიბისი სტატუსი" კი კომპანია „ისთერნ პრომოუშენის" გრძელვადიანი პარტნიორია. მისი კლიენტები როგორც თბილისის ჯაზფესტივალებსა და ჯაზსერიებზე, აქაც მიიღებენ 15-20%-იან ფასდაკლებებს ბილეთებზე.

– ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის ამ ფესტივალში ჩართვა. ჩვენს სტატუსკლიენტებს ვუქმნით დამატებით კომფორტს და ბენეფიტებს, ისინი ძალიან კმაყოფილები არიან. ჩვენი ბანკირები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ფესტივალის განმავლობაში საუკეთესო ადგილები მათ მიიღონ. ჩვენთვის ნამდვილად პრესტიჟია, ვიყოთ ისეთი ფესტივალების წარმომდგენები, როგორიც არის თბილისის და შავი ზღვის ჯაზფესტივალები. როგორც გითხარით, ეს ურთიერთობა გრძელვადიანია და მომავალში კიდევ არაერთ პროექტს განვახორციელებთ, – აღნიშნავს თიბისი სტატუსის წარმომადგენელი მადონა წულაია.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შავი ზღვის ჯაზფესტივალის აბონიმენტებიც კი გაათამაშა „ფეისბუქში" და გათამაშების გამარჯვებულებს დავით კიკნაძესა და ლადო გორდეზიანს კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ მოგებული ბილეთები საზეიმო ვითარებაში სამინისტროში გადასცა.

# ეროვნული არქივის თანამშრომლები პოლონეთში გაემგზავრნენ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ორი ქვეყნის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების, გზამკვლევებისა და ნუსხების ასლების გაცვლას, საარქივო სფეროში გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი პუბლიკაციების გამოცემასა და ღონისძიებების ორგანიზებას.

არქივების ხელმძღვანელებმა ისაუბრეს საქართველოსა და იტალიის არქივების სტრუქტურაზე, მუშაობის პრინციპებზე, სამომავლო გეგმებსა და ერთობლივ გამოფენებზე, – განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

თეონა იაშვილი ესტუმრა რომის სახელმწიფო არქივსაც, სადაც შეხვედრა გამართა არქივის დირექტორთან, დაათვალიერა იქ დაცული დოკუმენტები, მათ შორის 1629 წელს რომში გამოცემული იტალიური-ქართული ლექსიკონი, რომელიც რომის უნივერსიტეტის ფონდშია დაცული, გაეცნო დოკუმენტების დიგიტალიზაციის პროგრამასა და ელექტრონული არქივების მუშაობის პრინციპებს.

სამომავლოდ დაიგეგმა იტალიის რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს არქივების გენერალური დირექტორატის დელეგაციის საპასუხო ვიზიტი საქართველოში.

საერთაშორისო

## იაპონიაში არნახული ევაკუაცია მიმდინარეობს

გადაუღებელმა კოკისპირულმა წვიმამ იაპონიის სამხრეთით მდებარე კუნძულ კიუსიუს ხელისუფლება აიძულა არნახული ევაკუაცია გამოაცხადოს.

400 ათასზე მეტ ადამიანს მიეცა მითითება დატოვონ საცხოვრებელი სახლები. წვიმამ და მეწყერმა უკვე 22 ადამიანი იმსხვერპლა, 8 ადამიანი უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ნალექის მოცულობამ გუშინ კუნძულზე საათში 110 მმ. შეადგინა. კუნძულზე მდინარეები ნაპირიდანაა გადმოსული. ასობით შენობაა დატბორილი ფუკუოკას, მუმამოტოს, საგას და ოიტას პრეფექტურებში.

თითქმის მთლიანად ევაკუირებულია ქალაქი იანაგავა, სადაც 70 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

სამაშველო სამუშაოებს ართულებს მეწყრის მიერ გზების დაზიანება. შეწყვეტილია სარკინიგზო მიმოსვლაც.

სინოპტიკოსები კვლავაც ვარაუდობენ ნალექს და კოკისპირულ წვიმას.

შეგახსენებთ, რომ ჩინეთში ბოლო ძლიერ წყალდიდობას 50 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. გადაუღებელი წვიმების შედეგად ქვეყნის სამხრეთ ნაწილში თითქმის ყველა პროვინცია დატბორილია, სტიქიის შედეგად დაკარგულთა რიცხვი კი ყოველდღიურად იზრდება.

ბოლო მონაცემებით ძლიერი წყალდიდობის შედეგად 42 ადამიანი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული. წყალდიდობის გამო 34 ათასი სახლია განადგურებული. ჩინეთმა ორკვირიანი გადაუღებელი წვიმების შედეგად მილიარდ-ნახევარი ევრო იზარალა.

## ჩინეთი აშშ-ს აფრთხილებს

ჩინეთის საინფორმაციო საშუალებებმა ამერიკა გააფრთხილეს, რომ არ ღირს წყნარ ოკეანეში კონფრონტაციის პროვოცირება და სამხედრო შეიარაღებაზე ყურადღების კონცენტრირება.



ჩინურმა მასმედიამ ასევე დაადანაშაულა ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ჩინეთის შეფარულ, თუმცა მუდმივ კრიტიკაში და ჩინეთისა და მისი მეზობელი სახელმწიფოების ურთიერთობებში გამუდმებით ჩარევის მცდელობაში. ჩინური მასმედიის რეაქცია, ჰილარი კლინტონის განცხადებამ გამოიწვია, რომელმაც აღნიშნა, რომ ამერიკა გააძლიერებს სამხედრო დანაყოფებს წყნარ ოკეანეში და გააძლიერებს კონტაქტებს აზიელ პარტნიორებთან. ოფიციალურ ჩინეთს ამ თემაზე კომენტარი არ გაუკეთებია, ხოლო მედიამ მძაფრი უკმაყოფილება გამოხატა.

ცნობისთვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადა მაო ძე-დუნმა 1949 წელს, მიღებულ იქნა საბჭოური ტიპის კონსტიტუცია. 1971 წლიდან გაეროს წევრია. 80-იან წლებში კომუნისტმა-რეფორმატორებმა გაატარეს ეკონომიკური რეფორმები და ჩინეთმა გიგანტური ნაბიჯებით იწყო წინსვლა, გაუმჯობესდა ურთიერთობა მრავალ ქვეყანასთან. რეფორმები არ შეხებია პოლიტიკურ სისტემას და თავისუფლებებს. ცენტრალურ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს ტაივანთან და ტიბეტთან ურთიერთობებში.

## ავღანეთის პარლამენტარის სისხლიანი ქორწილი

ავღანეთის ქალაქ აიბაკში „შაჰიდის ქამრიანმა" ტერორისტმა თავი აიფეთქა ქორწილში და 22 ადამიანი იმსხვერპლა. დაჭრილია ათეულობით ადამიანი. ავღანეთის პარლამენტის დეპუტატის აჰმად ხან სამანგანის ქალიშვილის ქორწილში, რომელიც სასტუმრო „კასრ-ე-ალმასში" იმართებოდა, ტერორისტმა მამაკაცმა თავი აიფეთქა და 22 ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმა, მათ შორის აჰმად ხან სამანგანიც. დაუზუსტებელი ინფორმაციით, გარდაცვლილია ასევე ავღანეთის „დასავლეთ ზონის" პოლიციის უფროსი საიდ აჰმად სამახიც.

სააგენტო „პაჟვაკის" ინფორმაციით, შესაძლებელია მსხვერპლთა რაოდენობა გაიზარდოს, რადგან დაჭრილები უმძიმეს მდგომარეობაში არიან. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ ორგანიზაციას არ ულიარებია.

შეგახსენებთ, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ავღანეთში თავშესაფარი ჰპოვა ოსამა ბინ ლადენმა, რომელიც აშშ-ს მიერ დადანაშაულებული იყო ამ და სხვა ტერაქტების ორგანიზებაში. ავღანეთის ე.წ. ჩრდილოეთის ალიანსის ოპოზიციურმა ძალებმა აშშ-სა და მისი მოკავშირეების სამხედრო მხარდაჭერით დაამხეს თალიბანის რეჟიმი. 2001 წლის ბოლოს – შეიქმნა ჰამიდ კარზაის დროებითი მთავრობა. 2004 წელს ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები. ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში ადგილობრივ საველე მეთაურთა წინააღმდეგობების დაძლევა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## ცhოფყდჯ3ლბ



1. იტალიური ღვეზელი; 2. ბატონი (ინგლისურად); 3. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი; 4. ქალბატონო (ინგლისურად); 5. ზამთრის ბეწვის პალტო; 6. ოთხიანი ნარდში; 7. ჩინური სალიტერატურო, საყოველთაოდ გასაგები ენა; 8. შეძახილი გასაჩუმებლად; 9. ქართული ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი; 10. ხის პარაზიტი მცენარე; 11. სამიანი ნარდში; 12. ჰავაური ხალხური ცეკვა; 13. მტაცებელი ცხოველი; 14. გარე სამოსი; 15. ... სტერლინგი; 16. ინფექციური დაავადება; 17. ყაზახეთის ფულის ერთეული; 18. საყანწე მასალა; 19. ბესო ... (კრიტიკოსი); 20. მუხის ნაყოფი; 21. მდინარე იტალიაში; 22. კუზიანი კურდღელი; 23. ... დეპარდიე; 24. გამკრავი (ქარი); 25. დამატებითი ტონი მუსიკაში; 26. სტუმრობით დამეგობრებული პირი; 27. ჯუჯა კამეჩი; 28. სამაგიდო თამაში; 29. საყანედ გაკაფული ტყე; 30. ხანა, ეპოქა; 31. ნიავი; 32. ამძრავ ღვედზე მოძრაობის გადამცემი ბორბალი; 33. ჭადრაკის ფიგურა; 34. ულაგმო აღვირი.

### ობყფ ყჯ3ცჰიბ უფ3ჯმდც.ყც,ებ hჰჯცდჯჰლც,ბც ბფცე[ც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ექსპრომტი; 2. „არაბიკა"; 3. „ფიგარო"; 4. სიამი; 5. იშხანი; 11. ბიკილა; 12. ბაცილა; 14. ჟირო; 16. ლანქერი; 17. პატრიცი; 19. რეცეპტი; 21. ლავრა; 22. „შატლი".

**თარაზულად:** 6. ოქსფორდი; 7. ბაიყუში; 8. მუყაო; 9. არახისი; 10. რომბი; 13. სტაჟი; 15. პლებისციტი; 18. დავლური; 20. აბიო; 21. ლეკები; 23. ფილანტროპი; 24. ცაგერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯანაოზი; 2. კინგსტონი; 3. მაჭახელა; 4. დაძიბაო; 5. ბეკარი; 9. ტავრია; 11. დიოგენი; 12. ხარაძე; 14. კალიბრი; 18. ალაფი; 19. ბოლმა.

**თარაზულად:** 4. დივანი; 5. ბაზილიკა; 6. ფარსი; 7. მძახალი; 8. აგენტი; 10. „გაუდა"; 13. ზეკარი; 15. ტრავმა; 16. „ლეგო"; 17. „რომა"; 20. იუმორი; 21. „დემონი"; 22. კაფსულა; 23. „მადერა".

# „უმოქმედობა ასადს ლიცენზიას აძლევს ახალი მასობრივი მკვლელობებისთვის“



„სიენენის“ ინფორმაციით, გაეროს დამკვირვებლები სირიაში გაემგზავრნენ, რათა ადგილზე გამოიძიონ სირიის სოფელ ტრემსეხში პრეზიდენტ ბაშარ ასადის რაზმების მიერ 200-მდე მშვიდობიანი მოქალაქის დახოცვის ფაქტი. გაეროს დამკვირვებლები უკვე გაემგზავრნენ დამასკოდან ტრემსეხში, რომელიც ქალაქ ჰამადან 25 კილომეტრში მდებარეობს.

გაერო მკაცრად გამოეხმაურა სისხლის ღვრის ფაქტს. გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა მსოფლიო საზოგადოებას კიდევ ერთხელ მოუწოდა სირიის პრეზიდენტის წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარებაში.

— უნდა მივიღოთ ერთობლივი გადაწყვეტილება და განვსაზღვროთ გადამწყვეტი ქმედებები, რათა შევაჩეროთ ის ტრაგედია, რაც სირიაში ხდება. უმოქმედობა ასადს ლიცენზიას აძლევს ახალი მასობრივი მკვლელობებისთვის, — განაცხადა პან გი მუნმა.

ანატოლიის საინფორმაციო სააგენტოს ინფორმაციით, სირიის სამხედრო არმიის კიდევ ორი გენერალი თურქეთში გადავიდა. თურქეთში გაქცეული სირიელი გენერლების რიცხვმა უკვე 17-ს მიაღწია.

თურქული საინფორმაციო წყაროების ცნობით, გენერლებთან ერთად, კიდევ 300-მა სირიელმა ჯარისკაცმა დატოვა სამხედრო არმია.

გენერლებთან ერთად ქვეყანა კიდევ 227-მა სირიელმა დატოვა. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე სირიელი დევნილების რიცხვმა 38 914 ადამიანს მიაღწია.

თურქეთის შეირაღებული ძალების გენერალური შტაბის ოფიციალური განცხადებით კი, 22 ივნისს თურქული ავიაგამანადგურებელი სირიის საჰაერო თავდაცვას არ ჩამოუგდია. ამგვარად, ოფიციალურმა ანკარამ თვითმფრინავის ჩამოგდების, დღემდე, არსებული ვერსია უარყო.

— კრიმინალისტური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ თვითმფრინავის ჩამოგდების ჩვენი ვერსია, რომ იგი საჰაერო თავდაცვის იარაღმა ჩამოაგდო, არ დასტურდება. ინციდენტის საბოლოო მიზეზი ზღვის ფსკერიდან თვითმფრინავის

ნაწილების ამოღების შემდეგ დადგინდება, — ნათქვამია თურქული გენერალური შტაბის, დღეს, გავრცელებულ განცხადებაში.

თურქეთის სადაზვერვო თვითმფრინავი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე პროვინცია მალატიას ავიაბაზიდან, 22 ივნისს, აფრინდა. ნახევარ საათში კი, სირიის საზღვართან, პროვინცია ჰატაიში მისი სიგნალი შეწყდა.

ინციდენტიდან, ცოტა ხნის შემდეგ ოფიციალურმა ანკარამ თვითმფრინავის ჩამოგდებაში სირიის საჰაერო თავდაცვის ძალები დაადანაშაულა. თავის მხრივ, სირიამ ავიაგამანადგურებლის ჩამოგდება აღიარა და განაცხადა, რომ თურქულ თვითმფრინავს დარტყმა სირიის საჰაერო სივრცეში შეჭრის შემდეგ მიაყენა. ამაზე თურქული მხარე

ირწმუნებოდა, რომ მისი თვითმფრინავი საერთაშორისო საჰაერო სივრცეში ჩამოაგდეს, თუმცა მისი ნარჩენები სირიის ტერიტორიულ წლებში ჩაცვივდა.

შემთხვევის შესახებ დავა 11 ივლისს, თურქეთის სამხედრო ძალების გენშტაბის მიერ გავრცელებულმა ცნობამ გააძლიერა. უწყების განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ჩატარებული გამოძიებისა და ექსპერტიზის დროს თვითმფრინავის ნაწილებში ასაფეთქებელი ნივთიერებების კვალი არ აღმოჩნდა.

აღსანიშნავია თურქეთის მემარცხენე დემოკრატიული პარტიის ლიდერ მასუმ ტიურკერის განცხადება. მისი თქმით, თვითმფრინავი რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტის დიდმა გემმა „ადმირალ ჩაბანენკომ“ ჩამოაგდო, რომელიც ამჟამად სირიის სანაპიროებისკენ მიემართება.

ამ ფონზე, 17 ივლისს მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა და გაერო-ს სპეციალური წარმომადგენლის კოფი ანანის შეხვედრა გაიმართება.

კრემლის პრესსამსახურის ინფორმაციით, კოფი ანანი რუსეთს ორდღიანი სამუშაო ვიზიტით 16 ივლისს ეწვევა.

— შეხვედრაზე რუსეთის მიერ სირიასთან დაკავშირებით ანანის სამშვიდობო გეგმის მხარდაჭერის კიდევ ერთხელ დადასტურება იგეგმება. რუსული მხარე თვლის, რომ ეს გეგმა ერთადერთი სასიცოცხლო პლატფორმაა სირიის პრობლემის გადასაჭრელად, — ნათქვამია კრემლის პრესსამსახურის განცხადებაში.

ბოლო 4 თვის განმავლობაში გაერო-ს სპეციალური წარმომადგენლის უკვე მეორე ვიზიტია მოსკოვში.

შეგახსენებთ, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭომ რეზოლუციის პროექტი მიიღო, რომლის მიხედვით, სირიის ხელისუფლებას საბრძოლო ქმედებების შესაჩერებლად 10 დღე აქვს.

იმ შემთხვევაში, თუ ცეცხლი არ შეწყდება, ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებს დამატებითი ეკონომიკური და დიპლომატიური სანქციები შეეხებათ.

სირიის საკითხზე პრიშტინაში ანდერს ფოგ რასმუსენმაც ისაუბრა და რუსეთს კონფლიქტის მოგვარების პროცესში უფრო აქტიურად ჩართვისკენ მოუწოდა.

როგორც რასმუსენმა აღნიშნა, საკითხის დიპლომატიურ მოგვარებაზე პასუხისმგებლობა მოსკოვსაც ეკისრება.

ამასთან, ჟურნალისტებთან შეხვედრისას თეთრი სახლის პრესსპიკერმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონი მზადაა, კონფლიქტის შესაჩერებლად ყველა ქვეყანასთან ითანამშრომლოს.

როგორც ცნობილია, სირიაში გასული წლის მარტში დაწყებული ანტისამთავრობო გამოსვლების დროს სხვადასხვა მონაცემებით, 15 ათას ადამიანზე მეტია გარდაცვლილი.

## ნეპალში ავტოსაგზაო შემთხვევას 34 ადამიანი ემსხვერპლა

საგზაო შემთხვევის შედეგად დასავლეთ ნეპალში 34 ადამიანი დაიღუპა. ავტობუსმა მართვა დაკარგა, გზიდან გადავიდა და არხში ჩავარდა.




ავტობუსის 120 მგზავრი ტრივენის დასახლებულ პუნქტში რელიგიურ დღესასწაულზე დასასწრებად მიდიოდა.

პოლიციის ინფორმაციით, ავტობუსი იმდენად სავსე იყო, რომ რამდენიმე მგზავრი სახურავზეც კი იჯდა. ამასთან, პოლიციაში ვარაუდობენ, რომ მძღოლი ავტობუსს არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა. ამ დროისთვის შემთხვევის ადგილზე მაშველები მუშაობენ. ნეპალი ჰიმალაის მთიანეთში მდებარეობს. მის ტერიტორიაზეა 14-დან 8 რვაათასიანი მწვერვალი, მათ შორის მთა ევერესტი (ნეპალურად — საგარმათჰა, ტიბეტურად — ჯომოლუნგმა).

## მიშელ ობამას ემუქრებიან

ვაშინგტონის, კოლუმბიის ოლქის, პოლიციის თანამშრომელი გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან სავარაუდო საფრთხის გამო. მან გამოთქვა შემაშფოთებელი ფრაზა ამერიკის პირველი ლედის მიშელ ობამას წინააღმდეგ. ამის შესახებ, „ვაშინგტონ პოსტი“ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით.



ინციდენტი ოთხშაბათს, 11 ივლისს მოხდა. პოლიციელმა, რომელიც პრეზიდენტის დაცვის კორტეჟის შემადგენლობაში იმყოფებოდა, კოლეგებთან საუბრისას, სხვათაშორის თქვა, რომ დახვრეტდა მიშელ ობამას. ამის შემდეგ, მან ამოიღო მობილური ტელეფონი და დემონსტრირება გაუკეთა იარაღს, საიდანაც, ვითომდა მოახდენდა გასროლას.

ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელმაც მოისმინა კოლეგის საუბარი, მაშინვე შეატყობინა უშიშროების სამსახურს, რომელიც დაკავებულია პრეზიდენტისა და მისი ოჯახის დაცვით.

აშშ-ის მთავრობამ დაიწყო ინციდენტის გამოძიება. დროებით, სამსახურიდან გათავისუფლებულია ამ სიტყვების ავტორიცა და ყველა ის პოლიციელიც, ვინც ამ საუბარს ისმენდა.

თეთრ სახლთან მომხდართან დაკავშირებით, ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია.

მიშელ ობამა (მიშელ ლა ვონ რობინსონი; დ. 17 იანვარი, 1964) — ადვოკატი, შეერთებული შტატების 44-ე პრეზიდენტის ბარაკ ობამას მეუღლე, აშშ-ის 46-ე პირველი ლედი.

მიშელ ობამა დაიბადა და გაიზარდა ჩიკაგოს სამხრეთ ნაწილში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ განათლება პრინსტონის უნივერსიტეტსა და ჰარვარდის იურიდიულ სკოლაში მიიღო, რის შემდეგაც დაბრუნდა ჩიკაგოში და მუშაობა დაიწყო ჯერ იურიდიულ ფირმაში, შემდეგ კი ჩიკაგოს მერიაში. მიშელის ძმა — კრეიგ რობინსონი არის ორეგონის უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდის მწვრთნელი. ბარაკ ობამას გაეცნო „სიდნეი ოსტინში“ მუშაობისას.

ამერიკულმა პრესამ მიშელ ობამა ჟაკლინ კენედის შეადარა. მიშელ ობამა არის აშშ-ის ისტორიაში პირველი ფერადკანიანი პირველი ლედი.

## ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

### მამუკა (მეკო) მეკოშკიშვილი



ნათქვამია, სანამ ხსოვნა ცოცხლობს, ადამიანი ცოცხალიაო. ისიც უტყუარია, რომ ხსოვნა სინდისივით არის, სიკვდილზე ძლიერია. შენც სიკვდილზე ძლიერი ხარ მამუკა და მუდამ ცოცხალი დარჩები ჩვენთვის. გიხსენებთ და უფრო მეტად გვტკივა შენგან უდროოდ მიყენებული მოუშუშებელი იარა. შვიდი წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე გულის ტკივილი, რასაც განიცდიან შენი მშობლები, შენი ძმა, ნათესავები და მეგობრები, რომლებსაც არასოდეს ავიწყდები.

ღმერთმა ნათელში გამყოფის და მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს შენს ამაყსა და ნათელ სულს.

*ოჯახი*

### ირაკლი ესიავას გახსენება



ჩვენო საყვარელო ირაკლი, 40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მოულოდნელად გაფრინდა შენი ლამაზი სული უფლისკენ.

რა დიდი და მწარე ტკივილი მიაყენე ყველას, განსაკუთრებით მშობლებს — ნანა გულუასა და კახა ესიავას, დაიკოსა და გამზრდელ ბებია ნელი ჩილაჩავას.

ჩვენ, ნელი ჩილაჩავა-გულუას თანაკურსელები — ლუარა გოგოხია, მზევინარ ჭანტურია და ალმირა გვაზავა ვიზიარებთ ამ უდიდეს ტკივილს და თანავუგრძნობთ ოჯახს.

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვზბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბჰბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

## ფრანსუა ოლანდის პირველი „ბასტილიის დღე“

საფრანგეთმა ეროვნულ დღესასწაული — „ბასტილიის აღების“ დღე აღნიშნა. ზეიმს საფრანგეთის პრეზიდენტის რანგში პირველად ესწრებოდა ფრანსუა ოლანდი.



„ევრონიუსის“ ინფორმაციით, ზეიმის წინ ფრანგულმა მედიამ გამოკითხვის შედეგები დადო, აღმოჩნდა, რომ ფრანგების 56%-ი ოლანდით კმაყოფილია, თუმცა მისი რეიტინგი ბოლო ორი თვის განმავლობაში რამდენიმე პუნქტით დაეცა, რასაც ფრანგული მედია ოლანდის მეგობარი ქალის ტვიტში გაკეთებულ განცხადებას უკავშირებს.

ზეიმი ტრადიციულად ელისეის მინდვრებზე სამხედრო აღლუმით დაიწყო. პრეზიდენტის წინ ჩაიარეს სამხედრო არმიამ, ტანკებმა, ცხენოსნებმა. წარუმატებელია აღმოჩნდა ფრანგი პარაშუტისტების დაშვება ერთ-ერთი მათგანი ტრიბუნასთან ახლოს დაეშვა და მუხლი იტკინა. ფრანსუა ოლანდი ასევე ავლანეთში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახები მოინახულა.

„ბასტილიის აღების“ საზეიმო აღლუმი საღამოს ფიერვერკებით მარსის მინდორზე დასრულდა.

ბასტილიის შტურმი 1789 წლის 14 ივლისს მნიშვნელოვანი სიმბოლური ეტაპი იყო საფრანგეთის რევოლუციაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის ბასტილიის ციხეში მხოლოდ შვიდი ტუსაღი იმყოფებოდა, ეს აქტი გახდა მეფის წინააღმდეგ ღია აჯანყების დასაწყისის სულისჩამდგმელი. ამ მოვლენის პირველი წლისთავი აღნიშნული იყო, როგორც ფედერაციის დღესასწაული.

ამჟამად 14 ივლისი საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულია და მას ასევე „ბასტილიის დღეს“ უწოდებენ.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

ოთხშაბათი
16 ივლისი

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 ვახო სანაიას რეპორტაჟი 13.45 მხ. ფ. "**მალდონადოს სასწაული**". (ს. ჰაეკი) 15.30 ჩვენი ფერმა. 17.00, 05.50 დოკ. ფილმი "სამყარო" 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "**ოჯახური გამოძიება**" 21.00 სერ. "**დეტექტივები**" 22.00 აუდიტორია 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.30 მედიამონიტორი. 00.30 საფარი 01.20 მხ. ფილმი "**ნორმალური ცხოვრება**" 03.10 მხ. ფილმი "**მოთამაშე**" (ტ. რობინსი) 05.10 დოკ. ფილმი "სამყარო" 06.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები"

08.00 დოკ. ფილმი 09.00 მხ. ფილმი "**ღირსების სიტყვა**" 10.30 დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები". 11.00 მხ. ფ."**ბუნების ძალები**" 12.45 გააგრძელე საქართველოს ისტორია. 13.15 მხ. ფილმი "**შეიყვარო მეზობელი გოგონა**" 14.45, 17.45, 20.00, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 სერ. "**მელოე შანსი**" 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 20.00 მხ. ფილმი "**იმპერია**" 1-2 სერ. 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ.ფ."**ჩრდილების ქვეყანა**"

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 10.05 ან. ფილმი "სპანჯბობი" 10.30 სერ. "**მოპარული ბედნიერება**" 11.30 ქრონიკა+ 11.50 სერ. "**უკვდავი ამბავი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" 15.40 ხანუმა 17.40 სერ. "**მეწამული ცა**" 18.40 სერ. "**შურისძიების სახელით**" 21.00 სერ. "**მემკვიდრეები**" 22.00 კონცრტი: ალექსანდრე ბასილაია. 00.00 რომ გადახვალ, გააჩერე 00.20 25-ე კადრი 00.25 მხ. ფ. "**კეთილი ჯონი**" 02.45 მხ. ფ. "**შავი ხვრელი**" 04.10 მხ. ფილმი "**დამცველი**" 05.50 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "**დედის გული**" 11.00 სერ. "**ეჭვი და სიყვარული**" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 06.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერ. "**ტერეზა**" 18.45 სერ. "**მგზნებარე გული**" 19.50 სერ."**ველური ყვავილი**" 22.00 კონცერტი "ნოდიკო ტატიშვილი" 23.30 შერეკილები 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 04.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. "**ჩემი შეყვარებული**" 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ."**მარტოხელა მტრედი**" 13.00 მხ. ფილმი 15.15 პულსი 15.45 ან. ფილმი 17.10 სერ. "**ელიზა და რივომბროზა**" 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. "**ვნებათა მიწა**" 21.00 სერ."**გაუხსნელი საქმე**" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი 01.50 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 19.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. "**საიდუმლო აგენტების თავგადასავალი**" 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. "**საგა**" 12.50, 19.35 სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" 13.50 1000 წვრილმანი. 15.15 სერ. "**საიდუმლო აგენტების თავგადასავალი**" 16.00 დოკ. ფილმი "პლატინის ქორწინებები" 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი "ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ" 19.30 ანონსი. 19.35 სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" 23.00 სახლი ბათუმში 23.30 მხ. ფილმი "**შურისმაძიებლები თამაში ორისათვის**"

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30, 21.15 უწიგნოდ თვადთახედვის ისარი მოკლეა. 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05 საეკლესიო კალენდარი. 12.10 მხ. ფილმი "**პასტორალი**". 13.35 კონცერტი "დავით გველესიანი". 15.05, 18.55, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი. 15.40 სპექტაკლი "**პეპო**". 16.00 გაცოცხლებული წარსული. 16.30 დოკ. ფ. "ველური ბნუება". 16.55 სპექტაკლი "ეს არ უნდა მომხდარიყო". 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 გუთნისდედა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.00 სიახლენი. 19.20 მხ. ფილმი "**ხევისბერი გოჩა**". 20.40 ძილი ნებისა 21.05 ფატრიარქის ქადაგება. 21.20 საღვთისმეტყველო საუბრებიყ 22.00 სიახლენი 22.25 პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან. 23.15 გერგეთობა. 23.20 მოკ. ფილმი "**ადგილის დედა**". 00.10, 02.30 სიახლენი. 00.35 განთიადის სტუმარი 00.55 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები.

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 ivlisi


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6369
ევრო —2,0455
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5586
რუსული რუბლი — 0,0498

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24–27, ღამით — 18–19.
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22–25, ღამით — 17–18.

**ამინდის პროგნოზი 16 ივლისისთვის**







# 14 ივნისიდან!

## დიდი საზაფხულო აქცია

## ქართული მწერლობის საუნჯე

## „ახალ თაობასთან“ ერთად

ფასი 5 ლარი


fcnhjkjuyjpb !^ bdkbcbcdbc

.დცკფვ უფბსლფკბცობყცს=

**წარმატებული დღე**

**ვერძი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ გელით საჩუქარი. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ქალწული** — ნურავის ენდობით, საკუთარ თავს დაეყრდენით. **სასწორი** — იყავით თვითკრიტიკული, თორემ სხვები გაგაკრიტიკებენ. **ღრიანკალი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **მშვილდოსანი** — არ აჩქარდეთ, საქმეს ისადაც მოასწრებთ. **თხის რქა** — საღამო მშვენიერი იქნება, დაჯილდოვდებით. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი კარგად მიდის. **თევზები** — ახალი პროექტი მოგეწონებათ, ფული გექნებათ.

უბცევჰლტ,ს ,ტლყბტჰ ლქტს=




**სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული საზოგადოებრივი კოლეჯი „XXI საუკუნე“ აცხადებს მიღებას:**

- ფარმაცევტის თანაშემწე (V საფეხური)
- ტუროპერატორი (III, IV, V საფეხური)
- გიდი (I, II, III, IV საფეხური)
- ინფორმაციული ტექნოლოგიები (III საფეხური)
- ბუღალტერი (III, IV, V საფეხური)

I, II, III საფეხურზე მიიღებიან გასაუბრების წესით საბაზო (9-კლასდამთავრებულები) და საშუალო (12-კლასდამთავრებულები)

IV-V საფეხურზე შემომსვლელებს ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ გამოცდა „ზოგად უნარებში“

მისამართი: თბილისი, პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) №10, V სართ. ტელ.: 231 79 40, 231 79 41, 555 76 77 22, 599 33 53 92


## შავი ზღვის ჯაზფესტივალი იწყება

ეკა ირემაშვილი

17 ივლისს ბათუმის ჯაზ ფესტივალი იწყება, რომელიც აჭარის შავიზღვისპირეთში უკვე მეექვსედ ჩატარდება. ამის შესახებ განცხადება კულტურის სამინისტრომ „ფეისბუქის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გააკეთა. ბათუმის ჯაზ-ფესტივალი 17 ივლისს ღია ცის ქვეშ საზეიმოდ გაიხსნება და 22 ივლისამდე გაგრძელდება. ფესტივალის ფარგლებში ბათუმს ეწვევიან ჯაზის წარმომადგენლები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. შავი ზღვის ჯაზფესტივალის ორგანიზატორია კომპანია ისთერნ პრომოუშენსი. ფესტივალს წარმოადგენს საქართველოს კულტურის სამინისტრო და თიბისი სტატუსი.

ბათუმში მეექვსე ბლექ სი ჯაზფესტივალს მენ ინ ბრასი გახსნის. ბათუმის ქუჩებში მუსიკალური და სანახაობრივი შოუები სწორედ ამ შოუთი დაიწყება. ფესტივალის ფარგლებში კონცერტებს გამართავენ ფანკ ბასის ნათლიმამა ლარი გრეჰემი, ლეგენდარული გიტარისტი ჯონ სკოფილდი, ვირტუოზი პიანისტი ჯოი კალდერაცო, ბექა გოჩიაშვილი თავისი ვარსკვლავური სექსტეტით, ბათერსკოჩი მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ბიტბოქსში,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## გენდერული თანასწორობა აღდგენას იწყებს

*აზიური ქვეყნების სანაკრებო გუნდებში გენდერული თანასწორობა თანდათან აღდგენას იწყებს. საუდის არაბეთი ისტორიაში პირველად გაგზავნის ოლიმპიურ თამაშებზე ქალ სპორტსმენებს. ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში ორი ქალბატონი მოხვდა — ძიუდოისტი ვოჯან ალი სერაჯ აბდულრაჰიმ შაჰრჰანი და მორბენალი სარა ათარი.*

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ ამ სპორტსმენების ოლიმპიურ გუნდში შეყვანას პოზიტიური მომენტი უწოდა და აღნიშნა, რომ სპორტული საზოგადოება მიესალმება არაბ ქალებს ბრიტანეთის დედაქალაქში.

ყატარის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით კი, გახსნის ცერემონიაზე ნაკრების მედროშე ქალი სპორტსმენი, ტყვიის მსროლელი ბაჰიია ალ-ჰამადი იქნება. მის გარდა ნაკრებში იქნებიან მოცურავე ნადა არკაისა და მორბენალი ნურ ალ-მალკი.

ეს ორივე ფაქტი უნიკალური პრეცედენტია არაბული ქვეყნის მხრიდან. ყატარი, საუდის არაბეთი და ბრუნეი აქამდე ქალ სპორტსმენებს ოლიმპიადაზე გამოსვლას უკრძალავდა. ორმა უკვე ნაბიჯი გადადგა, ახლა ჯერი ბრუნეიზეა.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს არაბი ქალი სპორტსმენების ოლიმპიადებზე მოზიდვას, საერთოდ, ყატარელი სპორტსმენი ქალები ოლიმპიადაზე უაილდ-ქარდით დაუშვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა


# 4 ივლისიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იტალიური კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებსაც კრებითი სახელით – „მაფია“ მოიხსენიებენ, XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის ტრადიციული ბანდიტიზმის ნიადაგზე აღმოცენდა და მთელი სიცილია მოიცვა. მისი გავლენა მალე გასცდა იტალიის ფარგლებს და XX საუკუნის დასაწყისში ორგანიზაციის ათასობით წევრი, მეტწილად არალეგალურად, შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. მალე მაფიის საცეცები ამერიკის ცხოვრების ყველა სფეროს მოედო, ხოლო ნარკოტიკებით ვაჭრობის ინდუსტრიაში მისი წამყვანი როლის გამო, მაფიამ საკუთარი ქსელი ბრიტანეთში, კანადასა და ავსტრალიაშიც შექმნა.

მაფიის წევრთა უმრავლესობა დაუნდობელი, ანტისოციალური ელემენტი და კრიმინალი იყო. მიუხედავად ამისა, მათი „ლამაზი“ ცხოვრების სტილი საზოგადოებისთვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა – ათასობით კანონმორჩილი მოქალაქე დგებოდა რიგში ე.წ. განგსტერული ფილმების სანახავად, ხოლო ცნობილი პიროვნებები განგსტერების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებით იწონებდნენ თავს.

„მაფიის ისტორია“ ალ კაპონეს, ლაკი ლუჩიანოს, ბენჯამინ „ბაგსი“ სიგალის, ტომაზო ბუშეტას და სხვა ცნობილი „მაფიოზების“ ცხოვრებაზე, მათი ოჯახების, კოდექსის, დანაშაულებისა და მკვლელობების შესახებ მოგვითხრობს. იგი წარმოადგენს ვრცელ და ამაღელვებელ ამბავს, რომელიც გაჟღენთილია სისხლით და აღსავსეა მუხანათობით...


## hჰჯცლჯჰლბ ფ

**თარაზულად:** 4. სახელმწიფო ევროპაში; 5. რაიმე საქმეში უაღრესად დახელოვნებული პირი; 6. ხილი; 7. მამაცი, შეუპოვარი; 8. ლორწოვანი გარსების კეთილთვისებიანი სიმსივნე; 10. დედობის მფარველი ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 13. მგალობელი ფრინველი; 15. ამერიკის კინოაკადემიის ჯილდო; 16. ... ფიროსმანი; 17. სასწორის თეფში; 20. ... წვიმა; 21. რეკორდების წიგნი; 22. ფხვნილი სარეცხის მანქანისთვის; 23. ურმის ნაწილი, თავმსხვილი ჯოხი.

**შვეულად:** 1. წერის უნარის მოშლა; 2. მოძღვრება დაავადების წარმოშობის მიზეზებზე; 3. დიდი სახაზავი; 4. მეზღვაურთა მაუდის კურტაკი; 5. დიდი ხვლიკი; 9. ფენა. შრე; 11. ცეცხლისმფრქვეველი ფრთოსანი გველი; 12. არარსებულის წარმოსახვა; 14. ფეოდალური ციხე-დარბაზის მთავარი კოშკი; 18. კაენის ძმა; 19. მოკუმული ხელის თითები.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

